



შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გამოყენებული განსჯა	17
4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში	18
5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები	18
6. ძირითადი საშუალებები	23
7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	23
8. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები.....	23
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24
10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	24
11. სხვა შემოსავალი	24
12. ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	24
13. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	25
14. ფინანსური რისკების მართვა.....	25
15. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	26
16. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	27
17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	28
მმართველობის ანგარიშგება	I
ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა.....	ii
ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა.....	v
განვითარების გეგმები	ix
რისკები და გაურკვევლობები	x

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (შემდგომში, „კომპანია“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე, ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველში“- აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის იყენებს გადაფასების მოდელს. ქონების ბოლო შეფასება განხორციელებულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2019 წლის ივლისში, რომლის ანგარიშის მიხედვით ძირითადი საშუალებების ღირებულებები განსაზღვრულია 2019 წლის 31 ივლისის მდგომარეობით. კომპანიას ეს ღირებულებები ასახული აქვს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2019 წლის 30 აგვისტოს დამოწმებულ და გამოქვეყნებულ (სხვა აუდიტორების მიერ) აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამასთანავე, დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიშში გაურკვეველია, თუ შეფასების რა მეთოდებით იხელმძღვანელა შემფასებელმა რეალური ღირებულების განსაზღვრისას, იქნა თუ არა და რა წყაროებიდან შეგროვებული სათანადო მტკიცებულებები, მოხდა თუ არა აქტივების სასიცოცხლო ვადების ანალიზი და რა ვადები დადგინდა. აგრეთვე, შეფასების ანგარიშში ერთი ტიპის აქტივების საბალანსო და შეფასებული რეალური ღირებულების შედარება ბადებს მოსაზრებას, რომ გამოყენებულია ინდექსირება, თუმცა ამგვარი ჩანაწერი ან განმარტება ანგარიშში არ არის. აღნიშნული უხედავ კომპანიის 4,856 სხვადასხვა დასახელების სრულ მოძრავ და უძრავ ქონებას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების შესადარის პერიოდის პირველი დღის - 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ზემოთ აღწერილი გარემოებების გამო, შეუძლებელია დავასკვნათ რა მეთოდით იხელმძღვანელეს დამოუკიდებელმა შემფასებელმა და კომპანიის ხელმძღვანელობამ შეფასებული აქტივების რეალური ღირებულების განსაზღვრისას. შედეგად, ჩვენ ვერ შევადარეთ განხორციელებული შეფასების შესაბამისობა ფასს -13 რეალური ღირებულების მოთხოვნებთან. ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული ფასს - 13 რეალური ღირებულებით განსაზღვრული ახსნა - განმარტებითი შენიშვნები. ამ მიზეზის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა სხვა რაიმე სახის კორექტირებათა შეტანა ზემოაღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ გადაფასების რეზერვის, ძირითადი საშუალებების და მათთან დაკავშირებულ ფინანსურ ელემენტებთან (აკუმულირებული ცვეთა, ცვეთის ხარჯი, გადაფასების რეზერვიდან აკუმულირებულ ზარალზე ცვეთის სხვაობის გადატანა ბასს 16-ის 41-ე პარაგრაფის შესაბამისად) მიმართებით:

	31.12.2020	31.12.2019
ძირითადი საშუალებები	16,525	16,915
ცვეთა და ამორტიზაცია	(521)	(501)
სხვა რეზერვებიდან აკუმულირებულ ზარალზე გადატანა	(182)	(212)

ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე ასევე მოდიფიცირებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი ციფრების შესადარისობაზე ამ საკითხების გავლენის გამო (უშუალოდ 2019 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ და გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემულია არამოდიფიცირებული მოსაზრება სხვა აუდიტორების მიერ).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ჩვენ კომპანიის აუდიტორად დავინიშნეთ 2021 წლის აპრილში, შესაბამისად, ვერ დავესწარიტ კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის პროცესს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემის სხვა ლიმიტაციის გამო, ჩვენ არ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით სასაქონლო მატერიალური მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით სხვა ალტერნატიული აუდიტის პროცედურების მეშვეობით. ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური მარაგები წარდგენილია 1,128 ათასი ლარით.

ამასთანავე, კომპანიის სააღრიცხვო სისტემების თავისებურებიდან გამომდინარე, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სამედიცინო დანიშნულებით მოხმარების (გახარჯვის) დოკუმენტაციის განხილვა შეუძლებელია მომხმარებელთა იდენტიფიკაციის გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი საქართველოს კანონმდებლობით ექვემდებარება განსაკუთრებულ დაცვას. შედეგად, ჩვენ არ მოგვეცა საშუალება გავცნობოდით ამ დოკუმენტაციას. სამედიცინო მარაგების ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგენს 2,629 ათას ლარს.

აღნიშნულ მიზეზთა გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რამე სახის ჩასწორება სასაქონლო მატერიალური მარაგების მონაცემებთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სხვა ფინანსურ ელემენტებთან დაკავშირებით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2.2 შენიშვნაზე - წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, სადაც აღწერილია, მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას წინა პერიოდის ციფრების ჩასწორების დეტალები. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2021 წლის 27 ივლისით დათარიღებულ მართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასვენასა ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 28-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შესაბამისი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.
- ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მამასადაშე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2021 წლის 27 ივლისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 28-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი.



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)
პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
27 ივლისი, 2021 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019 (ჩასწორებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	16,525	16,915
არამატერიალური აქტივები		13	6
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,538	16,921
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	1,128	1,067
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	8	1,196	1,245
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	757	837
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,081	3,149
სულ აქტივები		19,619	20,070
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10,096	10,096
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(854)	(150)
ბიზნესის კომბინაციის შედეგად მიღებული მოგება/ზარალი		414	426
სხვა რეზერვები		8,562	8,744
სულ საკუთარი კაპიტალი		18,218	19,116
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	1,401	954
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,401	954
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		19,619	20,070

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 27 ივლისს.

ლ. კილაძე, გენერალური დირექტორი



ნ. ჭიჭვილი, მთ. ბუღალტერი

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2020 დასრულებული წლისთვის	31.12.2019 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)
შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან		15,251	14,510
სხვა შემოსავალი	11	161	176
შრომის ანაზღაურება		(10,095)	(9,402)
სამედიცინო საქონელი		(2,629)	(2,095)
დაცვა და ბაღრაციების ხარჯი		(866)	(748)
კომუნალური და საკომუნიკაციო იჯარა		(585)	(432)
ცვეთა და ამორტიზაცია		(534)	(386)
ცვეთა და ამორტიზაცია		(522)	(499)
პაციენტთა კვება		(321)	(180)
ჯარიმები და საურავები		(145)	-
საკანცელარიო ხარჯები		(143)	(108)
ჰიგიენის ხარჯი		(95)	(78)
საექვო ვალების ხარჯი		(89)	(38)
საწვავი და ტრანსპორტირება		(82)	(107)
რემონტის ხარჯი		(30)	(59)
მივლინების ხარჯები		(24)	(26)
საკონსულტაციო ხარჯები		(17)	(23)
სამუშაო ხარჯი		(5)	(14)
საბანკო ხარჯები		(4)	(7)
სხვა ხარჯი		(139)	(174)
ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	12	27	13
მიმდინარე წლის მოგება(ზარალი)		(886)	323
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება/(ზარალი)		(886)	323

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი იქნა 2021 წლის 27 ივლისს.

ლ. კილაძე, გენერალური დირექტორი



ნ. ჭიჭილი, მთ. ბუღალტერი

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2020 დასრულებული წლისთვის	31.12.2019 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	14,733	14,872
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(14,697)	(14,152)
ოპერირებიდან დაგწერიებული ფულადი სახსრების ნეტო /(ოპერირებისათვის გამოყენებული ფულადი სახსრები ნეტო) გადახდილი პროცენტი	36 -	720 -
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები/(საოპერაციო საქმიანობისათვის გადახდილი ფულადი სახსრები ნეტო)	36	720
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(129)	(391)
ბიზნესის კომბინაციის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები	-	117
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	15	8
საინვესტიციო საქმიანობისთვის მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	(114)	(266)
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(78)	454
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	837	384
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე	(2)	(1)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	757	837

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 27 ივლისს.

ლ. კილაძე, გენერალური დირექტორი

ნ. ჭიჭვილი, მთ. ბუღალტერი



შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კონსოლიდირებული საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილე ბედი მოგება	სხვა რეზერვები	ბიზნესის კომბინაციის შედეგად მიღებული მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	9,630	(685)	8,956	-	17,901
საწესდებო კაპიტალის ზრდა	495	-	-	-	495
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(29)	-	-	-	(29)
სხვა რეზერვების შემცირება	-	212	(212)	-	-
ბიზნესის კომბინაციის შედეგად მიღებული მოგება	-	-	-	426	426
2019 წლის სრული შემოსავალი	-	323	-	-	323
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	10,096	(150)	8,744	426	19,116
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	10,096	(150)	8,744	426	19,116
სხვა რეზერვების შემცირება	-	182	(182)	-	-
ბიზნესის კომბინაციის შედეგად მიღებული ზარალი	-	-	-	(12)	(12)
2020 წლის სრული შემოსავალი	-	(886)	-	-	(886)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,096	(854)	8,562	414	18,218

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 27 ივლისს.

ლ. კილაძე, გენერალური დირექტორი



ნ. ქეიშვილი, მთ. ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ს/ნ 404945164) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ფუნქციონირებს საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ქავთარაძის ჩიხი №2. საწარმოს კაპიტალის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო. საზოგადოება წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის საქმიანობის მთავარი საგანია მიღებული ლიცენზიების და ზემდგომი ორგანოების დადგენილების ფარგლებში, შესაბამისი პროფილით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მოსახლეობის სტაციონარული, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, სამედიცინო ექსპერტიზა, პედაგოგიური და საორგანიზაციო საქმიანობა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება

მიმდინარე წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, თუმცა წინა პერიოდის - 2019 წლის 31 დეკემბრის და ამ პერიოდით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ჩასწორებულა და მასზე აუდიტის დასკვნა ხელახლა არ გაცემულა.

ჩასწორების აუცილებლობა გამოწვეულია რამოდენიმე მიზეზით:

(ა) კონსოლიდაცია

2019 წლის 4-ე კვარტალში კომპანიის ერთპიროვნული მესაკუთრის, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით კომპანიას გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი შპს „თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“-სა და შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“-ს (ეს უკანასკნელი თავის მხრივ ფლობდა შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“-ს სრულ წილს) 100%-იანი წილები.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული ორი შვილობილის კონსოლიდაცია მოხდა არა კომპანიის მიერ მათზე კონტროლის მოპოვების თარიღიდან (როგორც ამას მოითხოვს ფასს 10), არამედ 2019 წლის 1 იანვრიდან, ხოლო შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“ გამორჩენილია კონსოლიდაციიდან.

(ბ) სავაჭრო დებიტორული დავალიანება და ურთიერთგადაფარვა

სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებების აღრიცხვაში, კერძოდ გაუფასურების შეფასებისა და აღიარების მანამდე არსებული პოლიტიკის შესაბამისობით ფასს-ს მოთხოვნებთან. შედეგად, არსებითი ზარალი (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 643 ლარი და 2019 წლის განმავლობაში მიღებული ზარალი 38 ლარი) არ იყო ასახული გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამასთანავე, აღიღი ქონდა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების არამართებულ ურთიერთგადაფარვას (144 ლარი).

(გ) გაუფასურების რეზერვის შემცირება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ასახვით

კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სხვა შემოსავლებში შეტანილი იყო გაუფასურების რეზერვის პერიოდის ცვლის პროპორციული შემცირება (196 ლარი) ბასს 16-ის 41-ე პარაგრაფით ნებადართული მეთოდით, იმ გადახვევით, რომ სტანდარტ კრძალავს ამ მოვლენის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ასახვას (აისახება მხოლოდ საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში).

ჩასწორებათა გავლენა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებსა და ჯამებზე შემდეგია:

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2019 (ჩასწორებული)	ჩასწორება	31.12.2019 (ჩასწორებამდე)
ძირითადი საშუალებები	16,915	36	16,879
სულ გრძელვადიანი აქტივები	16,915	36	16,879
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1,067	2	1,065
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1,245	(834)	2,079
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,312	(832)	3,144
სულ აქტივები			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(150)	(896)	746
ბიზნესის კომბინაციის შედეგად მიღებული მოგება/ზარალი	426	426	-
სხვა რეზერვები	8,744	(184)	8,928
სულ საკუთარი კაპიტალი	9,020	(654)	9,674
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	954	(142)	1,096
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	954	(142)	1,096
სულ ვალდებულებები და კაპიტალი			

სრული შემოსავლების ანგარიშგება	2019 (ჩასწორებული)	ჩასწორება	2019 (ჩასწორებამდე)
შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	14,510	(1,176)	15,686
სხვა შემოსავალი	176	176	-
სამედიცინო საქონელი	(2,095)	183	(2,278)
შრომის ანაზღაურება	(9,402)	540	(9,942)
ცვეთა და ამორტიზაცია	(499)	2	(501)
პაციენტთა კვება	(180)	(180)	-
კომუნალური და საკომუნიკაციო	(432)	63	(495)
ჰიგიენის ხარჯი	(78)	(78)	-
სამეურნეო ხარჯი	(14)	(14)	-
საკანცელარიო ხარჯები	(108)	4	(112)
საექვო ვალების ხარჯი	(38)	(38)	-
სხვა ხარჯი	(174)	58	(232)
ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	13	13	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	1,679	(447)	2,126

2.3 წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს

დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.5 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხვნამდე.

2.6 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ მენიშვნებში:

- ფინანსური რისკები - მე-21 მენიშვნა;
- სავაჭრო მოთხოვნები - მე-10 მენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელმწიფოებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელმწიფოებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.7 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწერა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელმწიფოებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.8 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.9 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.10 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება გადაფასების მეთოდით, რეალური ღირებულებით წარდგენით. გადაფასება ხორციელდება, სულ მცირე, 3 წელიწადში ერთხელ.

გადაფასებიდან მომდევნო გადაფასებამდე ძირითადი საშუალებები აღირიცხება რაღაც ღირებულებას ან თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები. ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	7,6,5

2.11 არამატერიალური აქტივები.

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 5 წლის გაანგარიშებით.

2.12 სასაქონლო-მატერიალური ფასულობები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.14 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მიწის გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

2.15 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.16 საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

2.17 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განიჭებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.18 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.19 უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა („ქართული ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთებია: 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი და 1 ევრო = 4.0233. (2019 წლის 31 დეკემბერს: 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი და 1 ევრო = 3.2095 ლარი).

2.20 ამონაგების აღიარება.

გაყიდული მომსახურების აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია ფასდათმობის გარეშე.

2.21 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.22 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.2 სავაჭრო დებიტორების გაუფასურება. კომპანია პერიოდულად აფასებს საექვო ვალების გაუფასურების მიდგომას. კომპანია გაუფასურების წარმოებისას ეყრდნობა თავის შიდა შეფასებებს და სწამს რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გაუფასურების რეზერვები წარდგენილია სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურაში (გაცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). გადახედული კონცეპტუალური სტრუქტურა მოიცავს ახალ თავს შეფასებაზე, სახელმძღვანელოს ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშგებაზე; გაუმჯობესებულ განსაზღვრებებს და სახელმძღვანელოს - კერძოდ ვალდებულების განსაზღვრება და განმარტებები მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა გონივრული, ფრთხილი ხელმძღვანელობის ფუნქციები და შეფასების გაურკვევლობები ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბიზნესის განმარტება – შესწორებები ფასს 3-ში (გაცემული 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შეძენებისთვის წლიური ანგარიშგების პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

შესწორებები ცვლის ბიზნესის განმარტებას. ბიზნესს უნდა ჰქონდეს რესურსები და არსებითი პროცესი, რომელიც ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესურსების შექმნაში. ახალი სახელმძღვანელო ითვალისწინებს სტრუქტურას იმის შესაფასებლად როდის არის წარმოდგენილი რესურსები და არსებითი პროცესი, მათ შორის დამწყები კომპანიებისთვის, რომლებიც არ გამოიმუშავენ შედეგებს. ორგანიზებული მუშახელი წარმოდგენილი უნდა იყოს ბიზნესად კლასიფიკაციის წინაპირობად, შედეგების არარსებობის შემთხვევაში. ტერმინის „რესურსი“ განსაზღვრება შემოიფარგლება კლიენტებისთვის გაწეული მომსახურებით და საქონლით, საინვესტიციო შემოსავლით და სხვა შემოსავლით და გამორიცხავს შემოსავლებს დაბალი ხარჯების ფორმით და სხვა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე აღარ არის საჭირო იმის შეფასება შეუძლიათ თუ არა ბაზრის მონაწილეებს გამოტოვებული ელემენტების შეცვლა ან შეძენილი საქმიანობების და აქტივების ინტეგრაცია. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენს ბიზნესს, თუ არსებითად ყველა შეძენილი მთლიანი აქტივების სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფი).

არსებითის განმარტება – ბასს 1-ის და ბასს 8-ის შესწორებები (გამოცემული 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ). შესწორებები განსაზღვრავს არსებითის განმარტებას და მისი გამოყენების წესს, განმარტებით სახელმძღვანელოში შეტანით, რომელიც აქამდე წარმოდგენილია ფასს-ში. გარდა ამისა, გაუმჯობესდა თანდართული განმარტებები. და ბოლოს შესწორებები უზრუნველყოფს, რომ არსებითის განმარტება შეესაბამება ყველა ფასს სტანდარტს. ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მისმა გამოტოვებამ, დამახინჯებამ ან ბუნდოვნად წარდგენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ.

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა – შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39- ში და ფასს 7-ში (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები განპირობებულია საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთების შეცვლით, როგორიცაა LIBOR და სხვა ბანკთაშორისი შეთავაზებული განაკვეთები (‘IBORs’). შესწორებები ითვალისწინებს დროებით გათავისუფლებას კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების ურთიერთობებზე, რომელზეც პირდაპირ ზემოქმედება მოახდინა IBOR რეფორმამ.

კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები შესწორებები ფასს 16 (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან შემდეგ). შესწორება ითვალისწინებს შეღავათის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეუძლიათ ასახონ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქმის ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომელიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებდა ყველა შემდეგი პირობა: ცვლილება საიჯარო გადახდებში განაპირობებს იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე და არ არის არსებითი ცვლილებები იჯარის სხვა პირობებსა და დებულებებში.

შესწორების გამოყენებამ გავლენა არ მოახდინა გამოყენების უფლების მქონე აქტივზე და არსებითი გავლენა არ მოახდინა საიჯარო ვალდებულებებზე და შემოსავლის ანგარიშგებაზე.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვევლის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კონტრაქტებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა). მზღვევლები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, ადებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გააღვივებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- **ძალაში შესვლის თარიღი:** ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ს გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.
- **დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა:** საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- **სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან:** უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდები გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის „ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით“ საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.
- **გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება:** როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული ჯგუფის მარჯა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.
- **სხვა შესწორებები:** სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; სამომსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების

პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შედეგებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბრის და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც უნდა განსაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ). აღნიშნული შესწორებები ასახავს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვის ან კონტრიბუციის დროს. ამ შესწორებების მთავარი შედეგია ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივ მოგება და ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს იმ აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან არამიმდინარედ - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით კაპიტალში. „დაფარვა“ განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ):

შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკე ღირებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს

გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დამატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მითითება, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფასს 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ შეძენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ეღიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემდგომ არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულები, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 გამონაკლისის, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმღებებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე დაერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ.

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – ფაზა 2 შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში , ფასს 7-ში, ფასს 4-ში და ფასს 16-ში (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფაზა 2-ის შესწორებები განსაზღვრავს საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების განხორციელების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის ალტერნატიული კრიტერიუმით შეცვლის შედეგად. შესწორებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების აღრიცხვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლებში, IBOR რეფორმის შედეგად: იმ ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს საწარმოებმა, პრაქტიკული მიზანშეწონილობის სახით, აღრიცხონ ცვლილება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლებში, IBOR რეფორმების შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პარაგრაფებში სახელმძღვანელოს გამოყენებით. შედეგად არ ხდება უშუალო მოგების ან ზარალის აღიარება. პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენება მხოლოდ იმ ცვლილებაზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც საჭიროა, როგორც IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგი და ახალი საფუძველი ეკონომიკურად წინა ბაზის ექვივალენტურია. სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც იყენებენ დროებით შეღავათს ფასს 9-დან, ასევე მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16 ასევე შესწორდა და მოიჯარეებს მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა საიჯარო მოდიფიკაციების აღრიცხვისას, რომელიც ცვლის მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს, IBOR რეფორმის შედეგად.
- საბოლოო თარიღი ფაზა 1 შეღავათისთვის არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის ჰეჯირების ურთიერთობებში: ფაზა 2-ის შესწორებები მოითხოვს საწარმომ მომავალში აღარ გამოიყენოს ფაზა 1-ის შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის იმ თარიღისთვის, რომელიც უფრო ადრე დადგება: როდესაც ცვლილებები

ხორციელდება შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტში ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა წყდება. რისკის კომპონენტებისთვის ფაზა 1-ში საბოლოო თარიღი არ არის გათვალისწინებული.

- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებიდან: ფაზა 2-ის შესწორებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შეღავათებს კონკრეტული ბასს 39 და ფასს 9 ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით ჰეჯირების ურთიერთობებში, რომლებზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა IBOR რეფორმამ.
- დამატებითი ფასს 7 ინფორმაციები IBOR რეფორმის შესახებ: აღნიშნული შესწორება მოითხოვს ინფორმაციას შემდეგის შესახებ: (i) როგორ მართავს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მის პროგრესს და რისკებს, რომელიც წარმოიშობა გადასვლის შედეგად; (ii) რაოდენობრივი მონაცემები წარმოებულების და არა-წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან, დაყოფილი მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ორიენტირით; და (iii) ცვლილებების აღწერა რისკის მართვის სტრატეგიაში, IBOR რეფორმის შედეგად.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება 01.01.2019	15,191	4	1,173	107	45	16,520
შეძენა	200	1	218	19	17	455
ბიზნესის კომბინაციის შედეგად	404	47	20	-	1	472
შემოსული ძირითადი საშუალებები						
ცვეთა	(197)	(7)	(267)	(20)	(10)	(501)
გასვლა	-	-	-	(31)	(1)	(32)
გასულ აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	1	-	1
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	15,598	45	1,144	76	52	16,915
2019 წლის 31 დეკემბრი						
ისტორიული ღირებულება	15,874	64	1,513	95	64	17,610
დაგროვილი ცვეთა	(276)	(19)	(369)	(19)	(12)	(695)
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	15,598	45	1,144	76	52	16,915
შეძენა	16	-	111	-	4	131
ცვეთა	(190)	(11)	(288)	(19)	(13)	(521)
საბალანსო ღირებულება 31.12.2020	15,424	34	967	57	43	16,525
2019 წლის 31 დეკემბრი						
ისტორიული ღირებულება	15,890	64	1,624	95	68	17,741
დაგროვილი ცვეთა	(466)	(30)	(657)	(38)	(25)	(1,216)
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	15,424	34	967	57	43	16,525

7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2020	31.12.2019
სამედიცინო საქონელი	838	857
სხვა მარაგები	290	210
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1,128	1,067

8. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,146	2,109
მოთხოვნა პერსონალის მიმართ	3	4
გადახდილი ავანსები	19	15
საექვო ვალების რეზერვი	(977)	(888)
სხვა დებიტორული დავალიანება	5	5
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	1,196	1,245

გაუფასურების რეზერვის ზრდა /(შემცირება)	31.12.2020	31.12.2019
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	888	851
წლის განმავლობაში რეზერვის გამოყენება	89	37
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	977	888

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6	6
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე ეროვნულ ვალუტაში	751	826
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	-	5
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	757	837

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	228	118
გადასახდელი ხელფასები	479	489
მიღებული ავანსები	142	150
გადასახდელი გადასახადები	309	102
სხვა კრედიტორული დავალიანება	243	95
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,401	954

11. სხვა შემოსავალი

	2020	2019
იჯარა	58	39
ჰუმანიტარული მედიკამენტები	27	12
უსასყოდლოდ მიწოდებული საქონელი	55	23
სხვადასხვა	21	102
სულ სხვა შემოსავალი	161	176

12. ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)

	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	12	8
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	19	11
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(4)	(6)
სულ ფინანსური ხარჯი(შემოსავალი)	27	13

13. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

14. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,169	1,221
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	751	831
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	1,920	2,052

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიის შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსაღწილო საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მოსალოდნელი ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების ისტორიულ მონაცემებს დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორების ამოღებადობაზე. ამ პრინციპით გაანგარიშებული საექსო ვალების რეზერვი მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2020 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მოთხოვნამდე	ვადაგადაუცილებელი	ვადაგადაცილებული	ჯამი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	1,158	988	2,146
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	751	-	-	751
სულ ფინანსური აქტივები	751	1,158	988	2,897
გაუფასურების რეზერვი (სავაჭრო დებიტორული დავალიანება)	-	-	(977)	(977)
ნეტო ფინანსური აქტივები	751	1,158	11	1,920

2019 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მოთხოვნამდე	ვადაგადაუცილებელი	ვადაგადაცილებული	ჯამი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	1,221	888	2,109
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	831	-	-	831
სულ ფინანსური აქტივები	831	1,221	888	2,940
გაუფასურების რეზერვი (სავაჭრო დებიტორული დავალიანება)	-	-	(888)	(888)
ნეტო ფინანსური აქტივები	831	1,221	-	2,052

საბაზრო რისკი. კომპანია ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. კომპანიას არ ერიცხება უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ფინანსური ინსტრუმენტები, შედეგად კომპანია არ განიცდის ამ რისკის ზემოქმედებას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია არ ექვემდებარება სახის ფინანსურ რისკს და შესაბამისად არ აქვს ამ კუთხით მართვის პოლიტიკა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მამინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმათავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

კომპანიას ერიცხება მხოლოდ მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები ვადიანობის ფინანსური ვალდებულებები (სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები).

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირება, რათა დამფუძნებლებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს დივიდენდების ოდენობის შემცირება, დაუბრუნოს ან გაზარდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

კომპანიას არ აქვს გარეშე პირებთან ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ეხება კაპიტალის სტრუქტურას ან ფინანსური კოეფიციენტების უზრუნველყოფას.

15. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

16. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით:

	31.12.2020	31.12.2019
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,169	1,221
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	751	831
სულ ფინანსური აქტივები	1,920	2,052
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	228	118
სულ ფინანსური ვალდებულებები	228	118

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის მინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შედავას არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებს და ბალანსებს.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები ლარში:

	ხელმძღვანელობა
ოპერაციები:	
მოკლევადიანი სარგებელი: ხელფასი	288
ნაშთები:	
გადასახდელი ანაზღაურება	3

2019 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები ლარში:

	ხელმძღვანელობა
ოპერაციები:	
მოკლევადიანი სარგებელი: ხელფასი	303
ნაშთები:	
გადასახდელი ანაზღაურება	7

18. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 27 ივლისს. ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

კომპანია აგრეთვე მოამზადა და წარსადგენად დაამტკიცა ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგება, რომელიც ქვეყნდება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (შემდგომში - ცენტრი/საზოგადოება) დაფუძნებულია სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2012 წლის 23 აპრილის N1-3/292 ბრძანების საფუძველზე. საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი იყო სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებს ახორციელებდა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ 2021 წლის 16 აპრილამდე, ხოლო 16 აპრილიდან მისი 100%-იანი წილის მმართველი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო პოლდინგი (ს/ნ 402157330).

ცენტრის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ქავთარაძის ქუჩის ჩიხი N 2 (ყოფილი ქავთარაძის ქუჩა N 21 ა).

ცენტრი შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სს „მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ დასს „ნარკოლოგიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის“ შერწყმის საფუძველზე (სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2012 წლის 23 აპრილის #1-3/292 ბრძანება). ამავებრძანების საფუძველზე დამტკიცდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ წესდება.

წესდების მიხედვით, საზოგადოება წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის საქმიანობის ძირითადი საგანია მიღებული ლიცენზიების და შემდგომი ორგანოების დადგენილების ფარგლებში, შესაბამისი პროფილით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მოსახლეობის სტაციონარული, ამბულატორიული-პოლიკლინიკური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, პროფილაქტიკა და რეაბილიტაცია, სადიაგნოსტიკო საქმიანობა, სამედიცინო ექსპერტიზა, პედაგოგიური და საორგანიზაციო საქმიანობა. კომპანიას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, კომპანიისა და პარტნიორების ინტერესებს.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ აყვანილია სამეწარმეო და საგადასახადო რეგისტრაციაზე და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი - 404945164.


სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარის 2014 წლის 27 მარტის #1/1-515 ბრძანებით შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ლაშა კილაძე.

2017 წლის 12 სექტემბერს განხორციელდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ (ს/ნ 404945164) შპს „ნარკოლოგიური ცენტრის“ (ს/ნ 248424307) შერწყმა-მიერთება. (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 12 სექტემბრის #1/1-2227 ბრძანება). აღნიშნული ბრძანებით შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ განისაზღვრა შპს „ნარკოლოგიური ცენტრის“ უფლებამონაცვლედ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 9 იანვრის ბრძანებით #1/1-66 განხორციელდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ (ს/ნ 404945164) შპს „თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრის“ (ს/ნ 231171148) შერწყმა-მიერთება და „ცენტრი“ განისაზღვრა მის უფლებამონაცვლედ.

ასევე, 2020 წლის 9 იანვარს განხორციელდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ (ს/ნ 404945164) შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ (ს/ნ 212693762) შერწყმა-მიერთება (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 9 იანვრის #1/1-67 ბრძანება). აღნიშნული ბრძანებით, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ განისაზღვრა შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ უფლებამონაცვლედ.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრმა“ ფუნქციონირება დაიწყო 2012 წლის 23 აპრილს 400 თანამშრომლით, „საზოგადოების“ საქმიანობის გაფართოების კვალდაკვალ 2012 წლის ბოლოს გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა და მიაღწია 510 ადამიანს, ხოლო 2013 წლის ბოლოს დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 530. 2014-2015 წლებში, მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, „ცენტრის“ მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, ხარჯების შემცირების მიზნით, რამდენიმე რეორგანიზაციის გამოცხადების შედეგად შემცირებინა დაქირავებულთა რიცხვი. 2014 წლის ბოლოს დაქირავებულთა რაოდენობამ შეადგინა 500 კაცი, ხოლო 2015 წლის ბოლოს ეს რიცხვი შემცირდა და გახდა 490 ადამიანი. 2016 წლიდან დღემდე საქმიანობის ზრდასთან ერთად ყოველწლიურად მზარდია დასაქმებულთა რაოდენობა. 2016 წელს 530 დასაქმებული იყო „ცენტრში“, 2017 წელს 560 ადამიანი, 2018 წელს 620, 2019 წელს 680, 2020 წელს 770, ხოლო დღეის მდგომარეობით 766 კაცი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია „საზოგადოებაში“ დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა დაარსების წლიდან დღემდე.



აღსანიშნავია, რომ „ცენტრი“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. „საზოგადოებაში“ დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით. კადრების კვალიფიკაცია კომპანიას ეხმარება საქმიანობის სწორად წარმართვასა და გამართულ ფუნქციონირებაში.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ ხელს უწყობს თანამშრომლების უწყვეტ განათლებას, კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლებას, როგორც სამედიცინო, ასევე ადმინისტრაციული მიმართულებით. სხვადასხვა ტრენინგებსა თუ შეხვედრებზე ხდება, როგორც გენერალური დირექტორის, ასევე დაქირავებული თანამშრომლების მივლინება, დაფინანსება ხშირ შემთხვევაში ხორციელდება მომწვევი ორგანიზაციის მიერ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში „ცენტრიდან“.

„ცენტრის“ თანამშრომლები ესწრებოდნენ შემდეგ ღონისძიებებს:

- პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში თანამედროვე ნარკოპოლიტიკისადმი მიძღვნილი „ჰომპილუ ჯგუფის“ ტრენინგი;
- ქ. ოსლოში „ჰომპილუ ჯგუფის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგი „სხვადასხვა მოთამაშის როლი ნარკომანიის პრევენციაში“;
- ქ. სტამბულში ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი „შეხვედრა მასალების მოსამზადებლად ნარკომანიის პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში“;
- ბელგიის ქალაქ ბრიუსელში საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიძღვნილი სამედიცინო საგანმანათლებლო და პრაქტიკული ინსტიტუციების რეიტინგისა და ხარისხების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული;
- გერმანიაში ქალაქ დაუნის ფსიქიატრიულ კლინიკაში „ტრენინგი სამუშაო ადგილზე“;
- პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში ნარკოტიკებისა და ნარკომანიის ევროპის მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) მიერ ორგანიზებული ექსპერტთა შეხვედრა;
- იტალიის ქალაქ ვენეციაში ევროსაბჭოს მიერ დაგეგმილი ტრენინგი „ნარკომანიის პრევენცია და მკურნალობა“;
- პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში ევროსაბჭოს მიერ დაგეგმილი ტრენინგი „ნარკოპოლიტიკის განვითარების, დანერგვისა და ზეგავლენის შეფასება“;
- იტალიის ქალაქ ვენეციაში ევროსაბჭოს მიერ დაგეგმილი ტრენინგის მეორე მოდული „ნარკოპოლიტიკის განვითარების დანერგვისა და ზეგავლენის შეფასება“;
- ყირგიზეთის ქალაქ ბიშკეკში „ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობისა და ზრუნვის მიდგომების (PARIS PACT Expert Working Group on Comprehensive Approach to Drug Treatment and Care)“ თემაზე, გაეროს ფონის მიერ ორგანიზებული ნარკოტიკების გავრცელებისა და დანაშაულთან ბრძოლის სამუშაო შეხვედრა;
- ქ. თბილისში, „ნარკოდამოკიდებულების პროფილაქტიკის მხარდაჭერა საქართველოში“ დასკვნითი სესია;

- პოლონეთის ქალაქ ვარშავაში პროგრამის ფარგლებში „პირველადი პრევენციის ხელშეწყობა საქართველოში“ კონფერენცია;
- ქალაქ ბათუმში საერთაშორისო-სამედიცინო კონფერენცია „მომავლის ტექნოლოგიები და სიცოცხლის ხარისხი“;
- ქალაქ დუბაიში სამედიცინო განათლების განვითარების საერთაშორისო გამოფენა (Qardi international-2017);
- ჩინეთის ქალაქ პეკინში ჯანდაცვის ადმინისტრირების სემინარი;
- უკრაინის ქალაქ კიევში ევროკომისიის დაფინანსებით მიმდინარე პროექტი (“EU-ACT: EU Action against Drugs and Organized Crime” – “ევროკომისია ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ”) ;
- უკრაინის ქალაქ კიევში აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო შიდსის ფონდის ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციის თაობაზე კონფერენცია - „ღიოების ამოვსება საკვანძო პოპულაციის უფლებები და ჯანმრთელობა“;
- უნგრეთის ქალაქ ბუდაპეშტში გედონ რიხტერის მიერ ორგანიზებული სპიკეტების სამიტი;
- მალტაში ინფექციური დაავადებების გამოყენებით ეპიდემიოლოგიაში კონფერენცია;
- გერმანიის ქალაქ ბერლინში DGPP (German Association for Psychiatry, Psychotherapy and Psychosomatics) კონგრესი;
- რუმინეთის ქალაქ ტარგუ-მურეშში „პერსონალიზირებული მედიცინის მიღწევები“ კონფერენცია;
- საფრანგეთის ქალაქ პარიზში „კრეტის“ უნივერსიტეტში სამედიცინო მიმართულების ფუნქციების გაცნობის (მათ შორის ფსიქიატრიული სერვისების) მიზნით;
- ამსტერდამში “პომპილე ჯგუფის” მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „გენდერული ასპექტების დანერგვა ნარკოპოლიტიკის პრაქტიკასა და მომსახურებაში“ ;
- სამხრეთ კორეის ქალაქ სეულში სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ ორგანიზებული „მსოფლიო კონფერენცია 2019“;
- ნიდერლანდებში, ამსტერდამში შიდსის აღმოსავლეთ-დასავლეთის ფედერაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (AFEW International) ამსტერდამის ოფისის მიერ ორგანიზებულ „Bridging the Gaps“ პროგრამის ფარგლებში გამართული ღონისძიება;
- პოლონეთის ქალაქ ვარშავაში ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული პრობლემების პრევენციული ღონისძიების გატარების განხილვის მიზნით ექსპერტთა შეხვედრა;
- უკრაინის ქალაქ ოდესაში EU-ACT-ის დაფინანსებით გამართული კონფერენცია;
- ავსტრიის ქალაქ ვენაში სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის კონგრესი;
- დაბა კაჭრეთში ფსიქოლოგიური ცენტრი “თანადგომა“-ს მიერ განხორციელებული პროექტის (პროექტი მიმდინარეობდა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით) „აღმოვფხვრათ ხარვეზები: მოწყვლადი ჯგუფების უფლებებისა და ჯანმრთელობის დასაცავად“ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა;
- ქ. ოსლოში „პომპილე ჯგუფის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგი „სხვადასხვა მოთამაშის როლი ნარკომანიის პრევენციაში“ და ა.შ.;

ასევე „ცენტრში“ მუდმივად ხდება შიდა რესურსებით თანამშრომლების დატრენინგება და გადამზადება შესაბამის თანამდებობაზე დასანიშნად.

„ცენტრის“ მიერ განსაკუთრებულ პრიორიტეტებშია უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის ფორმირება, რის გამოც ჩამოაყალიბა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომლის მიზანია სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭირო ტექნიკური კომპეტენციების ზრდა, ინტერპერსონალური კომუნიკაციის გაუმჯობესება, ეფექტური საქმიანობისთვის საჭირო ფასეულობათა სისტემის შექმნა, არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენების, მოქმედი სისტემის ეფექტურობისა და სარგებლიანობისამაღლება. პროფესიული განვითარების ცენტრში იგეგმება, როგორც ექიმებისთვის, ასევე საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალისთვის ტრენინგების კურსი პაციენტის უფლებების თაობაზე, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ და ა.შ.

ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო პროგრამების „ფსიქიკური ჯანმრთელობის“, „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ სხვადასხვა კომპონენტში და სხვა პროგრამებში. ასევე „ცენტრში“ მომსახურება ხორციელდება დამტკიცებული შიდა სამედიცინო სტანდარტებით.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, შესაბამისი პროფილით გაწეული სამედიცინო მომსახურებებია:

ა) ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა :

- ✓ „სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია.“
- ✓ „ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ.თბილისსა და რეგიონებში“, მათ შორის „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა“.
- ✓ „№2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციის უზრუნველყოფა“.
- ✓ „ნარკომანიის“ პროგრამის ეფექტურობის შეფასების კომპონენტი.
- ✓ „ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქვევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება (ადმოსავლეთ საქართველოში)“.

ბ) ფსიქიკური ჯანმრთელობა :

- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (დიდუბის რაიონი; ჩუღურეთის რაიონი; ვაკის რაიონი; კრწანისის რაიონი; მთაწმინდის რაიონი; საბურთალოს რაიონი; ისნის რაიონი; სამგორის რაიონი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 3 (სამი) მობილური გუნდის მეშვეობით (ვაკე, საბურთალო, სამგორის რაიონი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი; მესტიის მუნიციპალიტეტი; წალენჯიხის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი; ხარაგაულის მუნიციპალიტეტი (1/2); საჩხერის მუნიციპალიტეტი; ჭიათურის მუნიციპალიტეტი; ვანის მუნიციპალიტეტი; სამტრედიის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი (1/2), ბაღდათის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (საჩხერის მუნიციპალიტეტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (ქ. ქუთაისი და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი; ბაღდათის მუნიციპალიტეტი; წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (2/3); თერჯოლის მუნიციპალიტეტი (1/7); ტყიბულის მუნიციპალიტეტი (1/5); ამბროლაურის მუნიციპალიტეტი; ონის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება“ (ქ. ქუთაისი).
- ✓ ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენციის სამსახური მოზრდილთათვის.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე

პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (ქ. ქუთაისი და ქუთაისის მუნიციპალიტეტი).

✓ ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია (ქ. ქუთაისი).

გ) „სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება“(ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი).

დ) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოს კუთვნილი სამკურნალო საშუალებების შენახვა (დაცვის მომსახურების თანხლებით) „ცენტრის“ მისამართზე - თბილისი, ქავთარაძის ქ. №21ა.

„ცენტრის“ იურიდიულ მისამართზე - საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ქავთარაძის ქუჩის ჩიხი N 2 (ყოფილი ქავთარაძის ქ. N 21 ა) მდებარეობს ფსიქიატრიული (ამბულატორიული და სტაციონარული (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)) და ნარკოლოგიური (ამბულატორიული და სტაციონარული) განყოფილებები, ასევე ჩანაცვლებითი თერაპიის N 2 განყოფილება, სადაც პროგრამის სერვისს იღებდა 2020 წელს საშუალოდ 1000 ბენეფიციარი და ჩანაცვლებითი თერაპიის N 19 განყოფილება, სადაც 2020 წელს მკურნალობდა დაახლოებით 350 ბენეფიციარი.ამავე მისამართზე მდებარეობს „საზოგადოების“ სათაო ოფისიც.

2020 წელს, გარდა N 2 და N 19 განყოფილებისა, „საზოგადოებას“ ჰქონდაჩანაცვლებითი თერაპიის შემდეგი განყოფილებები ქ. თბილისში:

1. ჯავახიშვილის ქ. N 51-ში მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის N 1 განყოფილება, სადაც 2020 წელს ვემსახურებოდით პროგრამაში ჩართულ 780 ბენეფიციარს;
2. რუსთავის გზატკეცილი N 18-22 -ში მდებარეობს N 7 განყოფილება, სადაც 2020 წელს პროგრამით მოსარგებლე დაახლოებით 570 ბენეფიციარი იღებდა მომსახურებას;
3. ქ. თბილისის, მ. ლაღიძის ქ. N 6-ში მდებარეობს N 8 განყოფილება, სადაც 2020 წელს მკურნალობდნენ დაახლოებით 1170 ბენეფიციარს;
4. ქ. თბილისის, გლდანის ა მ/რ, კორპ. 70-ის მიმდებარედ, ფართი N 4-ში, მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის N 9 განყოფილება, სადაც 2020 წელს მომსახურებას ვუწევდით პროგრამაში ჩართულ დაახლოებით 1175 ბენეფიციარს;
5. ქ. თბილისის, თ. ერისთავის ქ. N 1 -ში მდებარეობს N 10 განყოფილება, სადაც 2020 წელს ვემსახურებოდით დაახლოებით 1120 ბენეფიციარს;
6. ქ. თბილისის, რ. ლაღიძის ქ. N 8-ში მდებარეობს N 14 განყოფილება, სადაც 2020 წელს სერვისს იღებდა დაახლოებით 920 ბენეფიციარი;
7. ქ. თბილისის, ვაჟა-ფშაველას გამზირი N 83/11-ში მდებარეობს N 16 განყოფილება, სადაც 2020 წელს ბენეფიციარების რიცხვი იყო დაახლოებით 850;

2020 წელს, გარდა ქალაქი თბილისისა, ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილებები გვქონდა ასევე რეგიონებში:

8. ქ. თელავში, ალადაშვილის ქ. N 2-ში მდებარეობს N 3 განყოფილება, სადაც პროგრამის სერვისით სარგებლობდა 2020 წელს დაახლოებით 370 ბენეფიციარი;
9. ქ. ოზურგეთში, 26 მაისის ქ. N 1 ა-ში მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის N 4 განყოფილება, რომელიც 2020 წელს პროგრამის ფარგლებში იღებდა საშუალოდ 415 ბენეფიციარს;
10. ქ. ფოთში, ვაჟა-ფშაველას ქ. N 6-ში მდებარეობს N 5 განყოფილება, სადაც 2020 წელს ვემსახურებოდით დაახლოებით 450 ბენეფიციარს;
11. ქ. ქუთაისში, ღუმბაძის ქ. N 59 ა-ში მდებარეობს N 6 განყოფილება, სადაც ბენეფიციარების რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა დაახლოებით 1250-ს;
12. ქ. ზესტაფონში, 9 აპრილის ქ. N 4-ში მდებარეობს N 6 განყოფილების ზესტაფონის კაბინეტი, სადაც 2020 წელს სერვისს იღებდა დაახლოებით 175 ბენეფიციარი;
13. საჩხერის რაიონის, სოფელ სხვიტორში, ივ. გომართელის ქ. N 17-ში მდებარეობს N 6 განყოფილების საჩხერის კაბინეტი, სადაც 2020 წელს სერვისს იღებდა დაახლოებით 100 ბენეფიციარი;
14. ქ. ზუგდიდის, გამარჯვების ქ. N 5-ში მდებარეობს N 11 განყოფილება, რომელშიც 2020 წელს მკურნალობდა დაახლოებით 935 ბენეფიციარი;
15. ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ. N 121 ა-ში მდებარეობს N 15 განყოფილება, სადაც 2020 წელს ირიცხებოდა პროგრამაში დაახლოებით 590 ბენეფიციარი;

16. ქ. გორის, გ. ანწუხელიძის ქუჩა კორპ. N 1-ში მდებარეობს N 17 განყოფილება, რომელშიც 2020 წელს მკურნალობდა დაახლოებით 275 ბენეფიციარი;
17. ქ. ბორჯომში, თორის ქ. N 1-ში მდებარეობს N 17 განყოფილების ბორჯომის კაბინეტი, სადაც 2020 წელს პროგრამაში ირიცხებოდა დაახლოებით 170 ბენეფიციარი;
18. ქ. ბათუმის, ნიკო ჯაყელის ქ. N 44-ში მდებარეობს N 18 განყოფილება, სადაც 2020 წელს ირიცხებოდა დაახლოებით 1505 ბენეფიციარი.

ასევე „ცენტრს“ აქვს ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილებები ქუთაისის და ქ. თბილისის პენიტენციურ დაწესებულებაში:

19. N 12 განყოფილება, N 8 პენიტენციურ სისტემაში, სადაც 2020 წელს ბენეფიციარების რიცხვი დაახლოებით იყო 430 კაცი;
20. N 13 განყოფილება, N 2 პენიტენციურ სისტემაში, სადაც მკურნალობდა 2020 წელს დაახლოებით 135 ბენეფიციარი;

2020 წელს რეგიონებში, ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილებების ბაზაზე, განყოფილებებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გამოყენებით, „ცენტრს“ გააჩნია, ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილებები, საიდანაც გავცემთ ნარკოლოგიურ ცნობებს და მომხმარებლებს ვთავაზობთ სხვადასხვა ამბულატორიულ სერვისებს.

„ცენტრს“ აქვს შემდეგი განყოფილებები:

- თელავის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- გორის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- ბათუმის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- ფოთის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- ზუგდიდის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება.

2020 წლის 27 იანვრიდან, მას შემდეგ რაც „ცენტრი“ განისაზღვრა შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ უფლებამონაცვლედ, ის ახორციელებს ყველა იმ „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამას, რასაც ახორციელებდა ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი. მის ბაზაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისის, ჩხობაძის ქ. N 20-ში, ჩამოყალიბდა „ცენტრის“ ფილიალი, ქუთაისის ფსიქიატრიული კლინიკის სახელწოდებით. აღნიშნულ კლინიკაში არის ფსიქიატრიული ავტორიზებული აფთიაქი, ამბულატორიული და სტაციონარი განყოფილებები, სადაც ბენეფიციარები იღებენ როგორც სახელმწიფო პროგრამის სერვისებს, ასევე ხდება ცნობების გაცემა შიდა სამედიცინო სტანდარტებით.

2020 წელს „ცენტრს“ რეგიონებში გააჩნია ასევე შემდეგი ფსიქიატრიული ამბულატორიული განყოფილებები:

- იმერეთის რეგიონული ამბულატორიული განყოფილება, რომელიც მდებარეობს ქ. ზესტაფონში, 9 აპრილის ქ. N 4-ში;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის ფსიქიატრიული ამბულატორიული განყოფილება, რომელიც მდებარეობს ქ. ზუგდიდის, გამარჯვების ქ. N 5-ში.

დღევანდელი მდგომარეობით, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების იმ ნაწილში, რომელშიც მონაწილეობს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“, მას უკავია ბაზრის დაახლოებით 70-75 %-იანი სეგმენტი. ცენტრის კონკურენტებს "სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების, მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის" მიმართულებით წარმოადგენენ შემდეგი ორგანიზაციები:

- 1) შპს „სამედიცინო ცენტრი ურანტი“;
- 2) შპს „ჯ. ჭანტურიას სახელობის სამედიცინო ცენტრი“;
- 3) შპს „ნეოგენი“;
- 4) შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- 5) შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“;
- 6) შპს „კადუცი“;
- 7) შპს „იმერმედი-იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი“;
- 8) შპს „წმინდა გიორგის სახელობის ჯანმრთელობის სახლი“;
- 9) შპს „მარნეულის სამედიცინო ცენტრი ადიკ“;
- 10) შპს „წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრი“.

აღნიშნული კომპანიები ქ. თბილისში ეწევიან, როგორც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნარკომანიის პროგრამების მომსახურებას, ასევე შიდა დაფინანსების წყაროს კუთხითაც წარმოადგენენ ცენტრის აქტიურ კონკურენტებს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამების მიმართულებით, ცენტრის კონკურენტები არიან:

- 1) შპს "ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი",
- 2) შპს "აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი";
- 3) ააიპ „საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია“;
- 4) შპს "საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი";
- 5) შპს „№5 კლინიკური საავადმყოფო“;
- 6) სს „ევექსის ჰოსპიტლები“;
- 7) შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- 8) შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ და ა.შ.

განვითარების გეგმები

2020 წელს, აქტიურად ვიყენებთ ონლაინ კომუნიკაციის პლატფორმას www.drugprevention.ge, აღნიშნულ საიტზე, კვირაში სამი დღე, „ცენტრის“ სპეციალისტები პასუხობენ მომხმარებელთა კითხვებს. საიტის მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ, როგორც ფსიქოლოგიის დაექიმინ-ნარკოლოგიის, ასევე იურისტის კონსულტაცია. აღნიშნული სერვისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალი კორონავირუსის პანდემიის დროს.

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ონლაინ რეჟიმში გადავიდა პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი შეხვედრები, ტარდება ონლაინ კონფერენციები. ცენტრის წამყვანი სპეციალისტები ონლაინ კონფერენციების საშუალებით უზიარებენ კოლეგებს აქტუალურ საკითხებს, ფსიქიატრიის და ნარკოლოგიის დარგში არსებულ ახალ გამოწვევებს, დაავადებათა მიმდინარეობას, მკურნალობასა და დიაგნოსტიკაში არსებულ სიახლეებს. ცენტრის ინიციატივით ხორციელდება რეგიონებში მომუშავე სპეციალისტების პროფესიული მხარდაჭერა, მათწინაშე მდგარი საკითხების განხილვა, გამოცდილების გაზიარება და სხვა.

ცენტრი ჩართულია ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკოლოგიის კუთხით საინტერესო, მნიშვნელოვან, მათ შორის პანდემიით გამოწვეული ცვლილებებისა და სხვა საჭირობო საკითხებში შემეცნებით, საგანმანათლებლო, პრევენციულ და საკონსულტაციო პროექტების განხორციელებაში. ის მიმართავს სხვადასხვა აქტივობებს, როგორცაა სატელევიზიო გადაცემებში სპეციალისტების მონაწილეობა, სოციალურ მედიაში ონლაინ ბლოგ-რუბრიკების წარმოდგენა, ონლაინ კონსულტაციები, სოციალური კამპანიების ორგანიზება და მასში მონაწილეობა.

მიმდინარეობს მოლაპარაკება „ცენტრისა“ და დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რათა ამ უკანასკნელმა 2021 წელს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – „ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ.თბილისსა და რეგიონებში“, მათ შორის „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა“, შეგვიძინოს მეთადონის ჩამოსხმის აპარატები და შევძლოთ ამ პროცესის ავტომატიზირებულობა, რაც მოგვცემს მნიშვნელოვან დანაშოვს, როგორც ფინანსური კუთხით, ასევე ადამიანური რესურსების გამოყენების თვალსაზრისით.

2020 წელი პანდემიიდან გამომდინარე სავსე იყო გამოწვევებითა და სწრაფი, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საჭიროებებით. ეფექტურად მოხდა ახალი კორონავირუსის ინფექციის მართვაროგორც სტაციონარში მოთავსებულ პაციენტებში, ისე სამედიცინო პერსონალში. მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა ცენტრს არ შეუწყვეტია პაციენტების მიღება და სერვისების მიწოდება. ცენტრი პაციენტებს ყველა სერვისს აწვდიდა უწყვეტად და შეფერხების გარეშე. არსებული გაიდლაინებისა და პროტოკოლების გათვალისწინებით, დროულად, სწორი რეაგირებით განხორციელდა პაციენტების სომატური დაავადებების ეფექტური მართვისთვის საჭირო ყველა პროცესი. დასაქმებულებს COVID 19 -ის ტესტირება უტარდებათ ქვეყანაში დადგენილი წესების მიხედვით, უწყვეტად. ისინი აღჭურვილი არიან ინდივიდუალური დაცვისა და სადუზინფექციო საშუალებებით. ცენტრში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფექციური კონტროლის სისტემის გამართულ მუშაობას და საჭიროების მიხედვით სწრაფ, ადექვატურ რეაგირებას, სადუზინფექციო საშუალების ჩატარებას, პერსონალის სწავლებას, ინსტრუქტაჟებს და სხვა.

გამოცხადებული პანდემიის პირობებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა „ცენტრის“ ხარჯები, რომელიც გავწიეთ თანამშრომლებისა და პაციენტების ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეძენით (პირბადეები, სამედიცინო ქუდები, ხალათები, ბაზილები, ხელთათმანები, სახის დამცავი ფარები, ხელის და ზედაპირების სადუზინფექციო ხსნარები, სადუზინფექციო ხსნარების დისპენსერები, თერმოსკრინინგისთვის უკონტაქტო თერმომეტრები, ღეზობარიერები და ა.შ.), რომელთა საშუალო ღირებულება 2020 წლის განმავლობაში შეადგენდა 200,200.00 ლარს.

მიუხედავად, „ცენტრში“ ზემოთ მოყვანილი ეპიდემიოლოგიური ვითარების მართვისა, 2020 წელს ძალიან შემცირდა პაციენტების მომართვიანობა, როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ სერვისებში, როგორც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ისე შიდა სტანდარტით, რამაც გამოიწვია შემოსავლების შემცირება. ასევე, რთულია იმის პროგნოზირება, თუ როგორ გაგრძელდება ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ქვეყანაში, რაც პირდაპირ პროპორციულად აისახება „ცენტრის“ შემოსავლებზე. ხოლო, რაც შეეხება ხარჯებს, „ცენტრი“ გასწევს მხოლოდ იმ ოდენობით, რაც აუცილებელია სახელმწიფო მნიშვნელობის სამედიცინო სერვისების გამართული ფუნქციონირებისთვის.

მომავალშიც „ცენტრი“ გეგმავს მიმართოს თავის ძალისხმევა, რათა შეინარჩუნოს განვითარების დადებითი დინამიკა და ხელი შეუწყოს სახელმწიფო პროგრამების მაღალ დონეზე შესრულებას.

რისკები და გაურკვევლობები

რისკების მართვა წარმოადგენს „ცენტრის“ სტრატეგიის მნიშვნელოვან საყრდენს და განსაკუთრებულ როლს თამაშობს მოსალოდნელი რისკებისა და გაურკვევლობების აღმოჩენაში, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ კომპანიის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. ამ ნაწილში გაანალიზებულია ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლის წინაშეც დგას შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ „ცენტრის“ მუშაობის შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიონ ჯერ კიდევ უცნობმა რისკებმა და გაურკვევლობებმა, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ქვემოთ.

რისკ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „სახელმწიფო პროგრამების“ ზოგიერთ კომპონენტში, რომლის შემოსავალიც შემთხვევების რაოდენობაზეა მიბმული, არ შეცვლილა წლების მანძილზე ერთეული შემთხვევის ღირებულება, მაშინ როცა გაზრდილია ამ სერვისის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა, ბაზარზე არსებული ფასების მატების გამო.

მომწოდებლების მხრიდან, მედიკამენტების მოწოდებაში შეფერხებასთან დაკავშირებით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, „ცენტრს“ უწევს ხოლმე მედიკამენტების შეძენა გადაუდებელი შესყიდვის გზით, რაც ზრდის მედიკამენტის ფასს, ისედაც ბაზარზე გაზრდილი ფასების პირობებში, რაც „ცენტრის“ ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება.

„ცენტრის“ სტაციონარებში, როგორც ნარკოლოგიური, ასევე ფსიქიატრიული მიმართულებით, პაციენტთა მაღალი მომართვიანობის გამო, რისი უგულებელყოფაც დაკავშირებულია სოციალურ რისკებთან, თითქმის ყოველთვის შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რომელსაც წარვადგენთ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში, მეტია სახელმწიფო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტზე გამოყოფილი თანხის ლიმიტზე. „ნარკომანიის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში-„სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია“, ბაზარზე გამოჩნდნენ ახალი კომპანიები, კერძოდ, შპს „წმინდა გიორგის სახელობის ჯანმრთელობის სახლი“, შპს „მარნეულის სამედიცინო ცენტრი ადიკ“, შპს „წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრი“, ვინც ახორციელებს ამავე პროგრამას. გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან გაიზარდა იმ კომპანიების რაოდენობა, ვინც ამ სერვისის ახორციელებს, აღნიშნულ პროგრამაზე დაწესდა თვიური ლიმიტი, მაშინ როდესაც „ცენტრს“ უნაზღაურებოდა შემოსავალი შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, რაც ასევე უარყოფითად აისახა „ცენტრის“ შემოსავლებზე.

ლ. კილაძე, გენერალური დირექტორი

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ს/კ 404945164
27 ივლისი, 2021 წელი



About Baker Tilly

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.



Contact us

Baker Tilly Georgia LLC
BC Monteshev Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge



შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
და
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები.....	17
4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში	17
5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები	18
6. ძირითადი საშუალებები	23
7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	23
8. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები.....	23
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24
10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	24
11. სხვა შემოსავალი	24
12. ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	24
13. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	24
14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	25
15. ფინანსური რისკების მართვა.....	25
16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	26
17. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	27
18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები	28
მმართველობის ანგარიშგება	I
ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა.....	ii
ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა.....	v
განვითარების გეგმები	ix
რისკები და გაურკვევლობები.....	x

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“-ს დამფუძნებელსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე**პირობითი მოსაზრება**

ჩვენ განვახორციელეთ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (შემდგომში, „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე, ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველში“- აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი*ძირითადი საშუალებების აღრიცხვა*

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის იყენებს გადაფასების მოდელს. ქონების ბოლო შეფასება განხორციელებულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2019 წლის ივლისში, რომლის ანგარიშის მიხედვით ძირითადი საშუალებების ღირებულებები განსაზღვრულია 2019 წლის 31 ივლისის მდგომარეობით. კომპანიას ეს ღირებულებები ასახული აქვს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2019 წლის 30 აგვისტოს დამოწმებულ და გამოქვეყნებულ (სხვა აუდიტორების მიერ) აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამასთანავე, დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიშში გაურკვეველია, თუ შეფასების რა მეთოდებით იხელმძღვანელა შემფასებელმა რეალური ღირებულების განსაზღვრისას, იქნა თუ არა და რა წყაროებიდან შეგროვებული სათანადო მტკიცებულებები, მოხდა თუ არა აქტივების სასიცოცხლო ვადების ანალიზი და რა ვადები დადგინდა. აგრეთვე, შეფასების ანგარიშში ერთი ტიპის აქტივების საბალანსო და შეფასებული რეალური ღირებულების შედარება ბაღებს მოსაზრებას, რომ გამოყენებულია ინდექსირება, თუმცა ამგვარი ჩანაწერი ან განმარტება ანგარიშში არ არის. აღნიშნული ეხება კომპანიის 4,856 სხვადასხვა დასახელების სრულ მოძრავ და უძრავ ქონებას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების შესადარისი პერიოდის პირველი დღის - 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ზემოთ აღწერილი გარემოებების გამო, შეუძლებელია დავასკვნათ რა მეთოდით იხელმძღვანელეს დამოუკიდებელმა შემფასებელმა და კომპანიის ხელმძღვანელობამ შეფასებული აქტივების რეალური ღირებულების განსაზღვრისას. შედეგად, ჩვენ ვერ შევადარეთ განხორციელებული შეფასების შესაბამისობა ფასს -13 რეალური ღირებულების მოთხოვნებთან. ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული ფასს -13 რეალური ღირებულებით განსაზღვრული ახსნა - განმარტებითი შენიშვნები. ამ მიზეზის გამო, ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა სხვა რაიმე სახის კორექტირებათა შეტანა ზემოაღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ გადაფასების რეზერვის, ძირითადი საშუალებების და მათთან დაკავშირებულ ფინანსურ ელემენტებთან (აკუმულირებული ცვეთა, ცვეთის ხარჯი, გადაფასების რეზერვიდან აკუმულირებულ ზარალზე ცვეთის სხვაობის გადატანა ბასს 16-ის 41-ე პარაგრაფის შესაბამისად) მიმართებით:

	31.12.2020	31.12.2019
ძირითადი საშუალებები	16,490	16,432
ცვეთა და ამორტიზაცია	(521)	(468)
სხვა რეზერვებიდან აკუმულირებულ ზარალზე გადატანა	(182)	(212)

ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე ასევე მოდიფიცირებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი ციფრების შესადარისობაზე ამ საკითხების გავლენის გამო (უშუალოდ 2019 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ და გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემულია არამოდიფიცირებული მოსაზრება სხვა აუდიტორების მიერ).

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

ჩვენ კომპანიის აუდიტორად დავინიშნეთ 2021 წლის აპრილში, შესაბამისად, ვერ დავესწარიტ კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის პროცესს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემის სხვა ლიმიტაციის გამო, ჩვენ არ გვქონდა საშუალება დავრწმუნებულიყავით სასაქონლო მატერიალური მარაგების რაოდენობასთან დაკავშირებით სხვა ალტერნატიული აუდიტის პროცედურების მეშვეობით. ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასაქონლო მატერიალური მარაგები წარდგენილია 1,126 ათასი ლარით.

ამასთანავე, კომპანიის სააღრიცხვო სისტემების თავისებურებიდან გამომდინარე, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სამედიცინო დანიშნულებით მოხმარების (გახარჯვის) დოკუმენტაციის განხილვა შეუძლებელია მომხმარებელთა იდენტიფიკაციის გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი საქართველოს კანონმდებლობით ექვემდებარება განსაკუთრებულ დაცვას. შედეგად, ჩვენ არ მოგვეცა საშუალება გავცნობოდით ამ დოკუმენტაციას. სამედიცინო მარაგების ხარჯი 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის შეადგენს 2,629 ათას ლარს.

აღნიშნულ მიზეზთა გამო, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რამე სახის ჩასწორება სასაქონლო მატერიალური მარაგების მონაცემებთან და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სხვა ფინანსურ ელემენტებთან დაკავშირებით.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე - წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, სადაც აღწერილია, მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას წინა პერიოდის ციფრების ჩასწორების დეტალები. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2021 წლის 27 ივლისით დათარიღებულ მართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასვენასა ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 28-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შესაბამისი ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შეზღუდვის გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.
- ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2021 წლის 27 ივლისით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 28-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ბ-ნი ბესიკ ბისეიშვილი.



ბესიკ ბისეიშვილი (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-988241)
პარტნიორი
შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია
27 ივლისი, 2021 წელი
თბილისი, საქართველო

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019 (ჩასწორებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	16,490	16,432
არამატერიალური აქტივები		13	6
გრძელვადიანი ინვესტიცია	13	12	495
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,515	16,933
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	7	1,126	1,008
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	8	1,192	1,099
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	757	731
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,075	2,838
სულ აქტივები		19,590	19,771
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		10,096	10,096
სხვა რეზერვი		8,746	8,744
გაუნაწილებელი მოგება		(652)	52
სულ საკუთარი კაპიტალი		18,190	18,892
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	1,400	879
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,400	879
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		19,590	19,771

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი იქნა 2021 წლის 27 ივლისს.

ლ. კილაძე, გენერალური დირექტორი



ნ. ჭეიშვილი, მთ. ბუღალტერი

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2020 დასრულებული წლისთვის	31.12.2019 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)
შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან		15,251	14,343
სხვა შემოსავალი	11	161	175
შრომის ანაზღაურება		(10,095)	(9,182)
სამედიცინო საქონელი		(2,629)	(2,013)
დაცვა და ბაღრავიერების ხარჯი		(866)	(748)
კომუნალური და საკომუნიკაციო იჯარა		(585)	(426)
ცვთა და ამორტიზაცია		(534)	(386)
პაციენტთა კვება		(522)	(469)
ჯარიმები და საურავები		(321)	(174)
საკანცელარიო ხარჯები		(145)	-
ჰიგიენის ხარჯი		(143)	(106)
საექვო ვალების ხარჯი		(95)	(77)
საწვავი და ტრანსპორტირება		(89)	(38)
რემონტის ხარჯი		(82)	(107)
მივლინების ხარჯები		(30)	(59)
საკონსულტაციო ხარჯები		(24)	(25)
სამეურნეო ხარჯი		(17)	(21)
საბანკო ხარჯები		(5)	(14)
სხვა ხარჯი		(4)	(6)
ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	12	(139)	(155)
		27	13
მიმდინარე წლის მოგება(ზარალი)		(886)	525
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მიმდინარე წლის სრული მოგება/(ზარალი)		(886)	525

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 27 ივლისს.

ლ. კილაძე, გენერალური დირექტორი



ნ. ჭიჭუკიძე, მთ. ბუღალტერი

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2020 დასრულებული წლისთვის	31.12.2019 დასრულებული წლისთვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	14,767	13,608
მომწოდებლებისა და მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები, მათ შორის, გადახდილი გადასახადები	(14,625)	(12,877)
ოპერირებიდან დაგენერირებული ფულადი სახსრების ნეტო /(ოპერირებისათვის გამოყენებული ფულადი სახსრები ნეტო)	142	731
გადახდილი პროცენტი	-	-
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები/(საოპერაციო საქმიანობისათვის გადახდილი ფულადი სახსრები ნეტო)	142	731
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/მშენებლობა	(129)	(391)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებიდან	15	8
საინვესტიციო საქმიანობისთვის მიღებული ნეტო ფულადი სახსრები	(114)	(383)
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	28	348
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	731	384
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე	(2)	(1)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	757	731

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 27 ივლისს.

ლ. კილაძე, გენერალური დირექტორი




ნ. ჭეიშვილი, მთ. ბუღალტერი

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	9,630	(685)	8,956	17,901
საწესდებო კაპიტალის ზრდა	495	-	-	495
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(29)	-	-	(29)
სხვა რეზერვის შემცირება	-	212	(212)	-
2019 წლის სრული შემოსავალი	-	525	-	525
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	10,096	52	8,744	18,892
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	10,096	52	8,744	18,892
სხვა რეზერვის ზრდა	-	-	184	184
სხვა რეზერვის შემცირება	-	182	(182)	-
2020 წლის სრული შემოსავალი	-	(886)	-	(886)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10,096	(652)	8,746	18,190

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2021 წლის 27 ივლისს.


 ლ. კილაძე, გენერალური დირექტორი




 ნ. ჭიჭვილი, მთ. ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ს/ნ 404945164) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ფუნქციონირებს საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ქავთარაძის ჩიხი №2. საწარმოს კაპიტალის 100 პროცენტს ფლობს სახელმწიფო. საზოგადოება წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის საქმიანობის მთავარი საგანია მიღებული ლიცენზიების და ზემდგომი ორგანოების დადგენილების ფარგლებში, შესაბამისი პროფილით, სამედიცინო-კვლევითი საქმიანობა, მოსახლეობის სტაციონარული, ამბულატორიულ-პოლიკლინიკური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, სამედიცინო ექსპერტიზა, პედაგოგიური და საორგანიზაციო საქმიანობა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება

მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, თუმცა წინა პერიოდის - 2019 წლის 31 დეკემბრის და ამ პერიოდით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ ჩასწორებულა და მასზე აუდიტის დასკვნა ხელახლა არ გაცემულა.

ჩასწორების აუცილებლობა გამოწვეულია სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებების აღრიცხვაში, კერძოდ გაუფასურების შეფასებისა და აღიარების მანამდე არსებული პოლიტიკის შეუსაბამობით ფასს-ს მოთხოვნებთან. შედეგად, არსებითი ზარალი (2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 643 ლარი და 2019 წლის განმავლობაში მიღებული ზარალი 38 ლარი) არ იყო ასახული გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ამასთანავე, ადგილი ჰქონდა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების არამართებულ ურთიერთგადაფარვას (144 ლარი). აგრეთვე, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სხვა შემოსავლებში შეტანილი იყო გაუფასურების რეზერვის პერიოდის ცვლის პროპორციული შემცირება (196 ლარი) ბასს 16-ის 41-ე პარაგრაფით ნებადართული მეთოდით, იმ გადახვევით, რომ სტანდარტ კრძალავს ამ მოვლენის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ასახვას (აისახება მხოლოდ საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში).

ჩასწორებათა გავლენა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მუხლებსა და ჯამებზე შემდეგია:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2019 (ჩასწორებული)	ჩასწორება	31.12.2019 (ჩასწორებამდე)
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	1,099	(825)	1,924
სულ მოკლევადიანი აქტივები	1,099	(825)	1,924
სულ აქტივები	1,099	(825)	1,924
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	52	(681)	733
სულ საკუთარი კაპიტალი	52	(681)	733
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	879	(144)	1,023
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	879	(144)	1,023
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	931	(825)	1,756

სრული შემოსავლების ანგარიშგება	2019 (ჩასწორებული)	ჩასწორება	2019 (ჩასწორებამდე)
შემოსავალი სამედიცინო რეალიზაციიდან	14,343	(134)	14,477
სხვა შემოსავალი	175	175	-
პაციენტთა კვება	(174)	(174)	-
კომუნალური და საკომუნიკაციო	(426)	40	(466)
ჰიგიენის ხარჯი	(77)	(77)	-
სამეურნეო ხარჯი	(14)	(14)	-
საეჭვო ვალების ხარჯი	(38)	(38)	-
სხვა ხარჯი	(155)	(25)	(130)
ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)	13	13	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	13,647	(234)	13,881

2.3 წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.5 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელმეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხზამდე.

2.6 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ფინანსური რისკები - მე-21 შენიშვნა;
- სავაჭრო მოთხოვნები - მე-10 შენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელმეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელმეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელმეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელმეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელმეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.7 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.8 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.9 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.10 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება გადაფასების მეთოდით, რეალური ღირებულებით წარდგენით. გადაფასება ხორციელდება, სულ მცირე, 3 წელიწადში ერთხელ.

გადაფასებიდან მომდევნო გადაფასებამდე ძირითადი საშუალებები აღირიცხება რეალურ ღირებულებას ან თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი

ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	50
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	7,6,5

2.11 არამატერიალური აქტივები.

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 5 წლის გაანგარიშებით.

2.12 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

2.14 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

2.15 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნათშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.16 საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (მათ შორის ცვლილებები საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში, და სხვ.) უნდა შევიდეს მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.

2.17 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.18 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მეორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.19 უცხოულ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა („ქართული ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან ხარჯი. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასაანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთებია: 1 აშშ დოლარი = 3.2766 ლარი და 1 ევრო = 4.0233. (2019 წლის 31 დეკემბრის: 1 აშშ დოლარი = 2.8677 ლარი და 1 ევრო = 3.2095 ლარი).

2.20 ამონაგების აღიარება.

გაყიდული მომსახურების აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია ფასდათმობის გარეშე.

2.21 დაქირავებული მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.22 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცეს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განთავსებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გათვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.2 სავაჭრო დებიტორების გაუფასურება. კომპანია პერიოდულად აფასებს საექვო ვალების გაუფასურებისადმი მიდგომას. კომპანია გაუფასურების წარმოებისას ეყრდნობა თავის შიდა შეფასებებს და სწამს რომ ფინანსურ ანგარიშგებაში გაუფასურების რეზერვები წარდგენილია სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

4. საანგარიშგებო პერიოდში ძალაში შესული ცვლილებები ფასს-ში

ქვემოთ წარმოდგენილი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა კომპანიისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან, თუმცა კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

შესწორებები ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურაში (გაცემულია 2018 წლის 29 მარტს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). გადახედული კონცეპტუალური სტრუქტურა მოიცავს ახალ თავს შეფასებაზე, სახელმძღვანელოს ფინანსური მაჩვენებლების ანგარიშგებაზე; გაუმჯობესებულ განსაზღვრებებს და სახელმძღვანელოს - კერძოდ ვალდებულების განსაზღვრება და განმარტებები მნიშვნელოვან სფეროებში, როგორიცაა გონივრული, ფრთხილი ხელმძღვანელობის ფუნქციები და შეფასების გაურკვევლობები ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბიზნესის განმარტება – შესწორებები ფასს 3-ში (გაცემული 2018 წლის 22 ოქტომბერს და ძალაშია შეძენებისთვის წლიური ანგარიშგების პერიოდის დასაწყისიდან, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

შესწორებები ცვლის ბიზნესის განმარტებას. ბიზნესს უნდა ჰქონდეს რესურსები და არსებითი პროცესი, რომელიც ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესურსების შექმნაში. ახალი სახელმძღვანელო ითვალისწინებს სტრუქტურას იმის შესაფასებლად როდის არის წარმოდგენილი რესურსები და არსებითი პროცესი, მათ შორის დამწყები კომპანიებისთვის, რომლებიც არ გამოიმუშავენ შედეგებს. ორგანიზებული მუშახელი წარმოდგენილი უნდა იყოს ბიზნესად კლასიფიკაციის წინაპირობად, შედეგების არარსებობის შემთხვევაში. ტერმინის „რესურსი“ განსაზღვრება შემოიფარგლება კლიენტებისთვის გაწეული მომსახურებებით და საქონლით, საინვესტიციო შემოსავლით და სხვა შემოსავლით და გამორიცხავს შემოსავლებს დაბალი ხარჯების ფორმით და სხვა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე აღარ არის საჭირო იმის შეფასება შეუძლიათ თუ არა ბაზრის მონაწილეებს გამოტოვებული ელემენტების შეცვლა ან შეძენილი საქმიანობების და აქტივების ინტეგრაცია. საწარმოს შეუძლია გამოიყენოს „კონცენტრაციის ტესტი“. შეძენილი აქტივები არ წარმოადგენს ბიზნესს, თუ არსებითად ყველა შეძენილი მთლიანი აქტივების სამართლიანი ღირებულება კონცენტრირებულია ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფი).

არსებითი განმარტება – ბასს 1-ის და ბასს 8-ის შესწორებები (გამოცემული 2018 წლის 31 ოქტომბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის 2020 წლის 1 იანვრიდან ან შემდეგ). შესწორებები განსაზღვრავს არსებითი განმარტებას და მისი გამოყენების წესს, განმარტებით სახელმძღვანელოში შეტანით, რომელიც აქამდე წარმოდგენილია ფასს-ში. გარდა ამისა, გაუმჯობესდა თანდართული განმარტებები. და ბოლოს შესწორებები უზრუნველყოფს, რომ არსებითი განმარტება შეესაბამება ყველა ფასს სტანდარტს. ინფორმაცია არსებითია, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ მისმა გამოტოვებამ, დამახინჯებამ ან ბუნდოვნად წარდგენამ შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ იმ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ფინანსურ ინფორმაციას კონკრეტული ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ.

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის რეფორმა – შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39- ში და ფასს 7-ში (გამოცემულია 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები განპირობებულია საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთების შეცვლით, როგორიცაა LIBOR და სხვა ბანკთაშორისი შეთავაზებული განაკვეთები ('IBORs'). შესწორებები ითვალისწინებს დროებით გათავისუფლებას კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების ურთიერთობებზე, რომელზეც პირდაპირ ზემოქმედება მოახდინა IBOR რეფორმამ.

კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები შესწორებები ფასს 16 (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 ივნისს ან შემდეგ). შესწორება ითვალისწინებს შეღავათის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეუძლიათ ასახონ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქოს ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენება მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომელიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებდა ყველა შემდეგი პირობა: ცვლილება საიჯარო გადახდებში განპირობებული იქარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე და არ არის არსებითი ცვლილებები იქარის სხვა პირობებსა და დებულებებში.

შესწორების გამოყენებამ გავლენა არ მოახდინა გამოყენების უფლების მქონე აქტივზე და არსებითი გავლენა არ მოახდინა საიჯარო ვალდებულებებზე და შემოსავლის ანგარიშგებაზე.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციები

კომპანიამ ვადად არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გაადვილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ს გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

- დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა: საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- სახელმეკრულებო მომსახურების მარჯა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან: უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიციტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდები გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის „ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით“ საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიციტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.
- გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული ჯგუფის მარჯა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.
- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალი; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შედავებებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც უნდა განსაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ). აღნიშნული შესწორებები ასახავს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვის ან კონტრიბუციის დროს. ამ შესწორებების მთავარი შედეგია ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივ მოგება და ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს იმ აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან არამიმდინარედ - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარიღისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით

კაპიტალში. „დაფარვა“ განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსიის ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შესვლის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შესვლის წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ):

შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფასს 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ მეძენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ელიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, მეძენის თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზნით არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულები, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი

კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 გამონაკლისის, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმღებებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე დაერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ.

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – ფაზა 2 შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში, ფასს 7-ში, ფასს 4-ში და ფასს 16-ში (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფაზა 2-ის შესწორებები განსაზღვრავს საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების განხორციელების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის ალტერნატიული კრიტერიუმით შეცვლის შედეგად. შესწორებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების აღრიცხვა სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში, IBOR რეფორმის შედეგად: იმ ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს საწარმოებმა, პრაქტიკული მიზანშეწონილობის სახით, აღრიცხონ ცვლილება სახელმწიფოებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში, IBOR რეფორმების შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პარაგრაფებში სახელმძღვანელოს გამოყენებით. შედეგად არ ხდება უშუალო მოგების ან ზარალის აღიარება. პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენება მხოლოდ იმ ცვლილებაზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც საჭიროა, როგორც IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგი და ახალი საფუძველი ეკონომიკურად წინა ბაზის ექვივალენტურია. სადაზღვეო კომპანიებს, რომლებიც იყენებენ დროებით შეღავათს ფასს 9-დან, ასევე მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16 ასევე შესწორდა და მოიჯარეებს მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა საიჯარო მოდიფიკაციების აღრიცხვისას, რომელიც ცვლის მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს, IBOR რეფორმის შედეგად.
- საბოლოო თარიღი ფაზა 1 შედეგებისთვის არა ხელმწიფოებო განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის ჰეჯირების ურთიერთობებში: ფაზა 2-ის შესწორებები მოითხოვს საწარმომ მომავალში აღარ გამოიყენოს ფაზა 1-ის შედეგები არა ხელმწიფოებო განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის იმ თარიღისთვის, რომელიც უფრო ადრე დადგება: როდესაც ცვლილებები ხორციელდება შედეგები არა ხელმწიფოებო განსაზღვრული რისკის კომპონენტში ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა წყდება. რისკის კომპონენტებისთვის ფაზა 1-ში საბოლოო თარიღი არ არის გათვალისწინებული.
- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებიდან: ფაზა 2-ის შესწორებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შედეგებს კონკრეტული ბასს 39 და ფასს 9 ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით ჰეჯირების ურთიერთობებში, რომლებზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა IBOR რეფორმამ.
- დამატებითი ფასს 7 ინფორმაციები IBOR რეფორმის შესახებ: აღნიშნული შესწორება მოითხოვს ინფორმაციას შემდეგის შესახებ: (i) როგორ მართავს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მის პროგრესს და რისკებს, რომელიც წარმოიშობა გადასვლის შედეგად; (ii) რაოდენობრივი მონაცემები წარმოებულების და არა-წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან, დაყოფილი მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ორიენტირით; და (iii) ცვლილებების აღწერა რისკის მართვის სტრატეგიაში, IBOR რეფორმის შედეგად.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის

შესახებ ინფორმაცია . ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება 01.01.2019	15,191	4	1,173	107	45	16,520
შეძენა	161	-	213	19	17	410
ცვეთა	(179)	(1)	(258)	(20)	(10)	(468)
გასვლა	-	-	-	(31)	-	(31)
გასულ აქტივების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	1	-	1
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	15,173	3	1,128	76	52	16,432
2019 წლის 31 დეკემბრი						
ისტორიული ღირებულება	15,352	4	1,387	95	61	16,899
დაგროვილი ცვეთა	(179)	(1)	(258)	(19)	(10)	(467)
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	15,173	3	1,129	76	51	16,432
შეძენა	404	42	129	-	4	579
ცვეთა	(190)	(11)	(288)	(19)	(13)	(521)
საბალანსო ღირებულება 31.12.2020	15,387	34	970	57	42	16,490
2019 წლის 31 დეკემბრი						
ისტორიული ღირებულება	15,756	46	1,516	95	65	17,478
დაგროვილი ცვეთა	(369)	(12)	(546)	(38)	(23)	(988)
საბალანსო ღირებულება 31.12.2019	15,387	34	970	57	42	16,490

7. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

	31.12.2020	31.12.2019
სამედიცინო საქონელი	838	800
სხვა მარაგები	288	208
სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	1,126	1,008

8. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	2,146	1,967
გადახდილი ავანსები	18	15
საექვო ვალების რეზერვი	(977)	(888)
სხვა დებიტორული დავალიანება	5	5
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	1,192	1,099

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გაუფასურების რეზერვის ზრდა /(შემცირება)	31.12.2020	31.12.2019
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	888	851
წლის განმავლობაში რეზერვის გამოყენება	89	37
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	977	888

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	6	5
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე ეროვნულ ვალუტაში	751	721
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	-	5
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	757	731

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	228	98
გადასახდელი ხელფასები	479	434
მიღებული ავანსები	142	150
გადასახდელი გადასახადები	309	102
სხვა კრედიტორული დავალიანება	242	95
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,400	879

11. სხვა შემოსავალი

	2020	2019
იჯარა	58	39
ჰუმანიტარული მედიკამენტები	27	12
უსასყოდლოდ მიწოდებული საქონელი	55	23
სხვადასხვა	21	101
სულ სხვა შემოსავალი	161	175

12. ფინანსური ხარჯი (შემოსავალი)

	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	12	8
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	19	11
ზარალი საკურსო სხვაობიდან	(4)	(6)
სულ ფინანსური ხარჯი(შემოსავალი)	27	13

13. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

2019 წლის 4-ე კვარტალში კომპანიის ერთპიროვნული მესაკუთრის, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით კომპანიას გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი შპს „თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“-სა და შპს „ქუთაისის ფსიქიკური

**შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)**

ჯანმრთელობის ცენტრი“-ს (ეს უკანასკნელი თავის მხრივ ფლობდა შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“-ს სრულ წილს) 100%-იანი წილები. წილების აღიარება მოხდა კომპანიისათვის მოწოდებული ისტორიული ღირებულებით.

2020 წლის 9 იანვარს, სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული ორი კომპანია შეერწყა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრს“ და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას დარჩა ერთი შვილობილი კომპანია შპს „ქუთაისის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრი“.

14. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებდა კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

15. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკის მუზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ მუზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2020	31.12.2019
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,169	1,079
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	751	726
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	1,920	1,805

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დაწესებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიის შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსაღდნოლი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მოსალოდნელი ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების ისტორიულ მონაცემებს დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორების ამოღებადობაზე. ამ პრინციპით გაანგარიშებული საექსო ვალების რეზერვი მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2020 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მოთხოვნამდე	ვადაგადაუცილ ებელი	ვადაგადაცილ ებული	ჯამი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	1,158	988	2,146
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	751	-	-	751
სულ ფინანსური აქტივები	751	1,158	988	2,897
გაუფასურების რეზერვი (დებიტ. დავალიანება)	-	-	(977)	(977)
ნეტო ფინანსური აქტივები	751	1,158	11	1,920

2019 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მოთხოვნამდე	ვადაგადაუცი ლებელი	ვადაგადაცილ ებული	ჯამი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	1,079	888	1,967
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	726	-	-	721
სულ ფინანსური აქტივები	726	1,079	888	2,693
გაუფასურების რეზერვი (დებიტ. დავალიანება)	-	-	(888)	(888)
ნეტო ფინანსური აქტივები	726	1,079	-	1,805

საბაზრო რისკი. კომპანია ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. კომპანიას არ ერიცხება უცხოურ ვალუტაში ნომინირებული ფინანსური ინსტრუმენტები, შედეგად კომპანია არ განიცდის ამ რისკის ზემოქმედებას.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანია არ ექვემდებარება სახის ფინანსურ რისკს და შესაბამისად არ აქვს ამ კუთხით მართვის პოლიტიკა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის ისეთი რისკია, რომლის წინაშეც იურიდიული პირი დგება მაშინ, როდესაც მას გააჩნია სირთულეები ფინანსური ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმათავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან.

კომპანიას ერიცხება მხოლოდ მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები ვადიანობის ფინანსური ვალდებულებები (სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები).

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირება, რათა დამფუძნებლებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს დივიდენდების ოდენობის შემცირება, დაუბრუნოს ან გაზარდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

კომპანიას არ აქვს გარეშე პირებთან ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ეხება კაპიტალის სტრუქტურას ან ფინანსური კოეფიციენტების უზრუნველყოფას.

16. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე დონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

17. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩამლა საბალანსო მუხლების მიხედვით:

	31.12.2020	31.12.2019
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები		
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,169	1,079
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	751	726
სულ ფინანსური აქტივები	1,920	1,805
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები		
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	228	98
სულ ფინანსური ვალდებულებები	228	98

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შედავათს არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებს და ბალანსებს.

2020 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები ლარში:

	ხელმძღვანელობა
ოპერაციები:	
მოკლევადიანი სარგებელი: ხელფასი	288
ნაშთები:	
გადასახდელი ანაზღაურება	3

2019 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები ლარში:

	ხელმძღვანელობა
ოპერაციები:	
მოკლევადიანი სარგებელი: ხელფასი	303
ნაშთები:	
გადასახდელი ანაზღაურება	7

19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 27 ივლისს. ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

კომპანია აგრეთვე მოამზადა და წარსადგენად დაამტკიცა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება, რომელიც ქვეყნდება წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (შემდგომში - ცენტრი/საზოგადოება) დაფუძნებულია სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2012 წლის 23 აპრილის N1-3/292 ბრძანების საფუძველზე. საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი იყო სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებს ახორციელებდა სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ 2021 წლის 16 აპრილამდე, ხოლო 16 აპრილიდან მისი 100%-იანი წილის მმართველი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს სამედიცინო პოლდინგი (ს/ნ 402157330).

ცენტრის ფაქტობრივი და იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ქავთარაძის ქუჩის ჩიხი N 2 (ყოფილი ქავთარაძის ქუჩა N 21 ა).

ცენტრი შექმნილია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სს „მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ დასს „ნარკოლოგიის სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის“ შერწყმის საფუძველზე (სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2012 წლის 23 აპრილის #1-3/292 ბრძანება). ამავებრძანების საფუძველზე დამტკიცდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ წესდება.

წესდების მიხედვით, საზოგადოება წარმოადგენს სამედიცინო პროფილის ლიცენზირებულ საწარმოს, რომლის საქმიანობის ძირითადი საგანია მიღებული ლიცენზიების და შემდგომი ორგანოების დადგენილების ფარგლებში, შესაბამისი პროფილით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მოსახლეობის სტაციონარული, ამბულატორიული-პოლიკლინიკური და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, პროფილაქტიკა და რეაბილიტაცია, სადიაგნოსტიკო საქმიანობა, სამედიცინო ექსპერტიზა, პედაგოგიური და საორგანიზაციო საქმიანობა. კომპანიას უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, კომპანიისა და პარტნიორების ინტერესებს.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ აყვანილია სამეწარმეო და საგადასახადო რეგისტრაციაზე და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი - 404945164.


სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარის 2014 წლის 27 მარტის #1/1-515 ბრძანებით შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ლაშა კილაძე.

2017 წლის 12 სექტემბერს განხორციელდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ (ს/ნ 404945164) შპს „ნარკოლოგიური ცენტრის“ (ს/ნ 248424307) შერწყმა-მიერთება. (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 12 სექტემბრის #1/1-2227 ბრძანება). აღნიშნული ბრძანებით შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ განისაზღვრა შპს „ნარკოლოგიური ცენტრის“ უფლებამონაცვლედ.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 9 იანვრის ბრძანებით #1/1-66 განხორციელდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ (ს/ნ 404945164) შპს „თელავის სამხარეო ნარკოლოგიური ცენტრის“ (ს/ნ 231171148) შერწყმა-მიერთება და „ცენტრი“ განისაზღვრა მის უფლებამონაცვლედ.

ასევე, 2020 წლის 9 იანვარს განხორციელდა შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრთან“ (ს/ნ 404945164) შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ (ს/ნ 212693762) შერწყმა-მიერთება (სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 9 იანვრის #1/1-67 ბრძანება). აღნიშნული ბრძანებით, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ განისაზღვრა შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ უფლებამონაცვლედ.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრმა“ ფუნქციონირება დაიწყო 2012 წლის 23 აპრილს 400 თანამშრომლით, „საზოგადოების“ საქმიანობის გაფართოების კვალდაკვალ 2012 წლის ბოლოს გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა და მიაღწია 510 ადამიანს, ხოლო 2013 წლის ბოლოს დასაქმებულთა რიცხვმა შეადგინა 530. 2014-2015 წლებში, მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, „ცენტრის“ მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება, ხარჯების შემცირების მიზნით, რამდენიმე რეორგანიზაციის გამოცხადების შედეგად შემცირებინა დაქირავებულთა რიცხვი. 2014 წლის ბოლოს დაქირავებულთა რაოდენობამ შეადგინა 500 კაცი, ხოლო 2015 წლის ბოლოს ეს რიცხვი შემცირდა და გახდა 490 ადამიანი. 2016 წლიდან დღემდე საქმიანობის ზრდასთან ერთად ყოველწლიურად მზარდია დასაქმებულთა რაოდენობა. 2016 წელს 530 დასაქმებული იყო „ცენტრში“, 2017 წელს 560 ადამიანი, 2018 წელს 620, 2019 წელს 680, 2020 წელს 770, ხოლო დღეის მდგომარეობით 766 კაცი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში წარმოდგენილია „საზოგადოებაში“ დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა დაარსების წლიდან დღემდე.



აღსანიშნავია, რომ „ცენტრი“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. „საზოგადოებაში“ დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით. კადრების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება საქმიანობის სწორად წარმართვასა და გამართულ ფუნქციონირებაში.

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ ხელს უწყობს თანამშრომლების უწყვეტ განათლებას, კვალიფიკაციისა და გამოცდილების ამაღლებას, როგორც სამედიცინო, ასევე ადმინისტრაციული მიმართულებით. სხვადასხვა ტრენინგებსა თუ შეხვედრებზე ხდება, როგორც გენერალური დირექტორის, ასევე დაქირავებული თანამშრომლების მივლინება, დაფინანსება ხშირ შემთხვევაში ხორციელდება მომწვევი ორგანიზაციის მიერ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში „ცენტრიდან“.

„ცენტრის“ თანამშრომლები ესწრებოდნენ შემდეგ ღონისძიებებს:

- პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში თანამედროვე ნარკოპოლიტიკისადმი მიძღვნილი „ჰომპილუ ჯგუფის“ ტრენინგი;
- ქ. ოსლოში „ჰომპილუ ჯგუფის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგი „სხვადასხვა მოთამაშის როლი ნარკომანიის პრევენციაში“;
- ქ. სტამბულში ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებული ტრენინგი „შეხვედრა მასალების მოსამზადებლად ნარკომანიის პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში“;
- ბელგიის ქალაქ ბრიუსელში საერთაშორისო სიმპოზიუმი, მიძღვნილი სამედიცინო საგანმანათლებლო და პრაქტიკული ინსტიტუციების რეიტინგისა და ხარისხების უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული;
- გერმანიაში ქალაქ დაუნის ფსიქიატრიულ კლინიკაში „ტრენინგი სამუშაო ადგილზე“;
- პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში ნარკოტიკებისა და ნარკომანიის ევროპის მონიტორინგის ცენტრის (EMCDDA) მიერ ორგანიზებული ექსპერტთა შეხვედრა;
- იტალიის ქალაქ ვენეციაში ევროსაბჭოს მიერ დაგეგმილი ტრენინგი „ნარკომანიის პრევენცია და მკურნალობა“;
- პორტუგალიის ქალაქ ლისაბონში ევროსაბჭოს მიერ დაგეგმილი ტრენინგი „ნარკოპოლიტიკის განვითარების, დანერგვისა და ზეგავლენის შეფასება“;
- იტალიის ქალაქ ვენეციაში ევროსაბჭოს მიერ დაგეგმილი ტრენინგის მეორე მოდული „ნარკოპოლიტიკის განვითარების დანერგვისა და ზეგავლენის შეფასება“;
- ყირგიზეთის ქალაქ ბიშკეკში „ნარკოდამოკიდებულთა მკურნალობისა და ზრუნვის მიდგომების (PARIS PACT Expert Working Group on Comprehensive Approach to Drug Treatment and Care)“ თემაზე, გაეროს ფონდის მიერ ორგანიზებული ნარკოტიკების გავრცელებისა და დანაშაულთან ბრძოლის სამუშაო შეხვედრა;
- ქ. თბილისში, „ნარკოდამოკიდებულების პროფილაქტიკის მხარდაჭერა საქართველოში“ დასკვნითი სესია;

- პოლონეთის ქალაქ ვარშავაში პროგრამის ფარგლებში „პირველადი პრევენციის ხელშეწყობა საქართველოში“ კონფერენცია;
- ქალაქ ბათუმში საერთაშორისო-სამედიცინო კონფერენცია „მომავლის ტექნოლოგიები და სიცოცხლის ხარისხი“;
- ქალაქ დუბაიში სამედიცინო განათლების განვითარების საერთაშორისო გამოფენა (Qardi international-2017);
- ჩინეთის ქალაქ პეკინში ჯანდაცვის ადმინისტრირების სემინარი;
- უკრაინის ქალაქ კიევში ევროკომისიის დაფინანსებით მიმდინარე პროექტი (“EU-ACT: EU Action against Drugs and Organized Crime” – “ევროკომისია ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ”) ;
- უკრაინის ქალაქ კიევში აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო შიდსის ფონდის ნარკოდამოკიდებულთა რეაბილიტაციის თაობაზე კონფერენცია - „ღიოების ამოვსება საკვანძო პოპულაციის უფლებები და ჯანმრთელობა“;
- უნგრეთის ქალაქ ბუდაპეშტში გედონ რისტერის მიერ ორგანიზებული სპიკეტების სამიტი;
- მალტაში ინფექციური დაავადებების გამოყენებით ეპიდემიოლოგიაში კონფერენცია;
- გერმანიის ქალაქ ბერლინში DGPP (German Association for Psychiatry, Psychotherapy and Psychosomatics) კონგრესი;
- რუმინეთის ქალაქ ტარგუ-მურეშში „პერსონალიზირებული მედიცინის მიღწევები“ კონფერენცია;
- საფრანგეთის ქალაქ პარიზში „კრეტის“ უნივერსიტეტში სამედიცინო მიმართულების ფუნქციების გაცნობის (მათ შორის ფსიქიატრიული სერვისების) მიზნით;
- ამსტერდამში “პომპილე ჯგუფის” მიერ ორგანიზებული ტრენინგი - „გენდერული ასპექტების დანერგვა ნარკოპოლიტიკის პრაქტიკასა და მომსახურებაში“ ;
- სამხრეთ კორეის ქალაქ სეულში სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ ორგანიზებული „მსოფლიო კონფერენცია 2019“;
- ნიდერლანდებში, ამსტერდამში შიდსის აღმოსავლეთ-დასავლეთის ფედერაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (AFEW International) ამსტერდამის ოფისის მიერ ორგანიზებულ „Bridging the Gaps“ პროგრამის ფარგლებში გამართული ღონისძიება;
- პოლონეთის ქალაქ ვარშავაში ალკოჰოლის მოხმარებით გამოწვეული პრობლემების პრევენციული ღონისძიების გატარების განხილვის მიზნით ექსპერტთა შეხვედრა;
- უკრაინის ქალაქ ოდესაში EU-ACT-ის დაფინანსებით გამართული კონფერენცია;
- ავსტრიის ქალაქ ვენაში სამედიცინო განათლების საერთაშორისო ასოციაციის კონგრესი;
- დაბა კაჭრეთში ფსიქოლოგიური ცენტრი “თანადგომა“-ს მიერ განხორციელებული პროექტის (პროექტი მიმდინარეობდა ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით) „აღმოვფხვრათ ხარვეზები: მოწყვლადი ჯგუფების უფლებებისა და ჯანმრთელობის დასაცავად“ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა;
- ქ. ოსლოში „პომპილე ჯგუფის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგი „სხვადასხვა მოთამაშის როლი ნარკომანიის პრევენციაში“ და ა.შ.;

ასევე „ცენტრში“ მუდმივად ხდება შიდა რესურსებით თანამშრომლების დატრენინგება და გადამზადება შესაბამის თანამდებობაზე დასანიშნად.

„ცენტრის“ მიერ განსაკუთრებულ პრიორიტეტებშია უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის ფორმირება, რის გამოც ჩამოაყალიბა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომლის მიზანია სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის საჭირო ტექნიკური კომპეტენციების ზრდა, ინტერპერსონალური კომუნიკაციის გაუმჯობესება, ეფექტური საქმიანობისთვის საჭირო ფასეულობათა სისტემის შექმნა, არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენების, მოქმედი სისტემის ეფექტურობისა და სარგებლიანობისამაღლება. პროფესიული განვითარების ცენტრში იგეგმება, როგორც ექიმებისთვის, ასევე საშუალო და უმცროსი სამედიცინო პერსონალისთვის ტრენინგების კურსი პაციენტის უფლებების თაობაზე, პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ და ა.შ.

ფილიალები და საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ მონაწილეობას იღებს სახელმწიფო პროგრამების „ფსიქიკური ჯანმრთელობის“, „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ სხვადასხვა კომპონენტში და სხვა პროგრამებში. ასევე „ცენტრში“ მომსახურება ხორციელდება დამტკიცებული შიდა სამედიცინო სტანდარტებით.

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, შესაბამისი პროფილით გაწეული სამედიცინო მომსახურებებია:

ა) ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა :

- ✓ „სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია.“
- ✓ „ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ.თბილისსა და რეგიონებში“, მათ შორის „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა“.
- ✓ „№2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციის უზრუნველყოფა“.
- ✓ „ნარკომანიის“ პროგრამის ეფექტურობის შეფასების კომპონენტი.
- ✓ „ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქვევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება (ადმოსავლეთ საქართველოში)“.

ბ) ფსიქიკური ჯანმრთელობა :

- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (დიდუბის რაიონი; ჩუღურეთის რაიონი; ვაკის რაიონი; კრწანისის რაიონი; მთაწმინდის რაიონი; საბურთალოს რაიონი; ისნის რაიონი; სამგორის რაიონი; საგარეჯოს მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 3 (სამი) მობილური გუნდის მეშვეობით (ვაკე, საბურთალო, სამგორის რაიონი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი; მესტიის მუნიციპალიტეტი; წალენჯიხის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი; ხარაგაულის მუნიციპალიტეტი (1/2); საჩხერის მუნიციპალიტეტი; ჭიათურის მუნიციპალიტეტი; ვანის მუნიციპალიტეტი; სამტრედიის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტი (1/2), ბაღდათის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (საჩხერის მუნიციპალიტეტი, ჭიათურის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიატრიული სათემო ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, სამედიცინო მომსახურების განხორციელება (ქ. ქუთაისი და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი; ბაღდათის მუნიციპალიტეტი; წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (2/3); თერჯოლის მუნიციპალიტეტი (1/7); ტყიბულის მუნიციპალიტეტი (1/5); ამბროლაურის მუნიციპალიტეტი; ონის მუნიციპალიტეტი)“.
- ✓ „ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება“ (ქ. ქუთაისი).
- ✓ ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენციის სამსახური მოზრდილთათვის.
- ✓ „თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე

პირებისთვის 1 (ერთი) მობილური გუნდის მეშვეობით (ქ. ქუთაისი და ქუთაისის მუნიციპალიტეტი).

✓ ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია (ქ. ქუთაისი).

გ) „სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება“(ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი).

დ) საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სოციალური მომსახურების სააგენტოს კუთვნილი სამკურნალო საშუალებების შენახვა (დაცვის მომსახურების თანხლებით) „ცენტრის“ მისამართზე - თბილისი, ქავთარაძის ქ. №21ა.

„ცენტრის“ იურიდიულ მისამართზე - საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ქავთარაძის ქუჩის ჩიხი N 2 (ყოფილი ქავთარაძის ქ. N 21 ა) მდებარეობს ფსიქიატრიული (ამბულატორიული და სტაციონარული (მოკლევადიანი და გრძელვადიანი)) და ნარკოლოგიური (ამბულატორიული და სტაციონარული) განყოფილებები, ასევე ჩანაცვლებითი თერაპიის N 2 განყოფილება, სადაც პროგრამის სერვისს იღებდა 2020 წელს საშუალოდ 1000 ბენეფიციარი და ჩანაცვლებითი თერაპიის N 19 განყოფილება, სადაც 2020 წელს მკურნალობდა დაახლოებით 350 ბენეფიციარი.ამავე მისამართზე მდებარეობს „საზოგადოების“ სათაო ოფისიც.

2020 წელს, გარდა N 2 და N 19 განყოფილებისა, „საზოგადოებას“ ჰქონდაჩანაცვლებითი თერაპიის შემდეგი განყოფილებები ქ. თბილისში:

1. ჯავახიშვილის ქ. N 51-ში მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის N 1 განყოფილება, სადაც 2020 წელს ვემსახურებოდით პროგრამაში ჩართულ 780 ბენეფიციარს;
2. რუსთავის გზატკეცილი N 18-22 -ში მდებარეობს N 7 განყოფილება, სადაც 2020 წელს პროგრამით მოსარგებლე დაახლოებით 570 ბენეფიციარი იღებდა მომსახურებას;
3. ქ. თბილისის, მ. ლაღიძის ქ. N 6-ში მდებარეობს N 8 განყოფილება, სადაც 2020 წელს მკურნალობდნენ დაახლოებით 1170 ბენეფიციარს;
4. ქ. თბილისის, გლდანის ა მ/რ, კორპ. 70-ის მიმდებარედ, ფართი N 4-ში, მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის N 9 განყოფილება, სადაც 2020 წელს მომსახურებას ვუწევდით პროგრამაში ჩართულ დაახლოებით 1175 ბენეფიციარს;
5. ქ. თბილისის, თ. ერისთავის ქ. N 1 -ში მდებარეობს N 10 განყოფილება, სადაც 2020 წელს ვემსახურებოდით დაახლოებით 1120 ბენეფიციარს;
6. ქ. თბილისის, რ. ლაღიძის ქ. N 8-ში მდებარეობს N 14 განყოფილება, სადაც 2020 წელს სერვისს იღებდა დაახლოებით 920 ბენეფიციარი;
7. ქ. თბილისის, ვაჟა-ფშაველას გამზირი N 83/11-ში მდებარეობს N 16 განყოფილება, სადაც 2020 წელს ბენეფიციარების რიცხვი იყო დაახლოებით 850;

2020 წელს, გარდა ქალაქი თბილისისა, ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილებები გვქონდა ასევე რეგიონებში:

8. ქ. თელავში, ალადაშვილის ქ. N 2-ში მდებარეობს N 3 განყოფილება, სადაც პროგრამის სერვისით სარგებლობდა 2020 წელს დაახლოებით 370 ბენეფიციარი;
9. ქ. ოზურგეთში, 26 მაისის ქ. N 1 ა-ში მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის N 4 განყოფილება, რომელიც 2020 წელს პროგრამის ფარგლებში იღებდა საშუალოდ 415 ბენეფიციარს;
10. ქ. ფოთში, ვაჟა-ფშაველას ქ. N 6-ში მდებარეობს N 5 განყოფილება, სადაც 2020 წელს ვემსახურებოდით დაახლოებით 450 ბენეფიციარს;
11. ქ. ქუთაისში, დუმბაძის ქ. N 59 ა-ში მდებარეობს N 6 განყოფილება, სადაც ბენეფიციარების რაოდენობა 2020 წელს შეადგენდა დაახლოებით 1250-ს;
12. ქ. ზესტაფონში, 9 აპრილის ქ. N 4-ში მდებარეობს N 6 განყოფილების ზესტაფონის კაბინეტი, სადაც 2020 წელს სერვისს იღებდა დაახლოებით 175 ბენეფიციარი;
13. საჩხერის რაიონის, სოფელ სხვიტორში, ივ. გომართელის ქ. N 17-ში მდებარეობს N 6 განყოფილების საჩხერის კაბინეტი, სადაც 2020 წელს სერვისს იღებდა დაახლოებით 100 ბენეფიციარი;
14. ქ. ზუგდიდის, გამარჯვების ქ. N 5-ში მდებარეობს N 11 განყოფილება, რომელშიც 2020 წელს მკურნალობდა დაახლოებით 935 ბენეფიციარი;
15. ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ. N 121 ა-ში მდებარეობს N 15 განყოფილება, სადაც 2020 წელს ირიცხებოდა პროგრამაში დაახლოებით 590 ბენეფიციარი;

16. ქ. გორის, გ. ანწუხელიძის ქუჩა კორპ. N 1-ში მდებარეობს N 17 განყოფილება, რომელშიც 2020 წელს მკურნალობდა დაახლოებით 275 ბენეფიციარი;
17. ქ. ბორჯომში, თორის ქ. N 1-ში მდებარეობს N 17 განყოფილების ბორჯომის კაბინეტი, სადაც 2020 წელს პროგრამაში ირიცხებოდა დაახლოებით 170 ბენეფიციარი;
18. ქ. ბათუმის, ნიკო ჯაყელის ქ. N 44-ში მდებარეობს N 18 განყოფილება, სადაც 2020 წელს ირიცხებოდა დაახლოებით 1505 ბენეფიციარი.

ასევე „ცენტრს“ აქვს ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილებები ქუთაისის და ქ. თბილისის პენიტენციურ დაწესებულებაში:

19. N 12 განყოფილება, N 8 პენიტენციურ სისტემაში, სადაც 2020 წელს ბენეფიციარების რიცხვი დაახლოებით იყო 430 კაცი;
20. N 13 განყოფილება, N 2 პენიტენციურ სისტემაში, სადაც მკურნალობდა 2020 წელს დაახლოებით 135 ბენეფიციარი;

2020 წელს რეგიონებში, ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილებების ბაზაზე, განყოფილებებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გამოყენებით, „ცენტრს“ გააჩნია, ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილებები, საიდანაც გავცემთ ნარკოლოგიურ ცნობებს და მომხმარებლებს ვთავაზობთ სხვადასხვა ამბულატორიულ სერვისებს.

„ცენტრს“ აქვს შემდეგი განყოფილებები:

- თელავის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- გორის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- ბათუმის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- ფოთის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება;
- ზუგდიდის ნარკოლოგიური ამბულატორიული განყოფილება.

2020 წლის 27 იანვრიდან, მას შემდეგ რაც „ცენტრი“ განისაზღვრა შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ უფლებამონაცვლედ, ის ახორციელებს ყველა იმ „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამას, რასაც ახორციელებდა ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი. მის ბაზაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისის, ჩხობაძის ქ. N 20-ში, ჩამოყალიბდა „ცენტრის“ ფილიალი, ქუთაისის ფსიქიატრიული კლინიკის სახელწოდებით. აღნიშნულ კლინიკაში არის ფსიქიატრიული ავტორიზებული აფთიაქი, ამბულატორიული და სტაციონარი განყოფილებები, სადაც ბენეფიციარები იღებენ როგორც სახელმწიფო პროგრამის სერვისებს, ასევე ხდება ცნობების გაცემა შიდა სამედიცინო სტანდარტებით.

2020 წელს „ცენტრს“ რეგიონებში გააჩნია ასევე შემდეგი ფსიქიატრიული ამბულატორიული განყოფილებები:

- იმერეთის რეგიონული ამბულატორიული განყოფილება, რომელიც მდებარეობს ქ. ზესტაფონში, 9 აპრილის ქ. N 4-ში;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის ფსიქიატრიული ამბულატორიული განყოფილება, რომელიც მდებარეობს ქ. ზუგდიდის, გამარჯვების ქ. N 5-ში.

დღევანდელი მდგომარეობით, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების იმ ნაწილში, რომელშიც მონაწილეობს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“, მას უკავია ბაზრის დაახლოებით 70-75 %-იანი სეგმენტი. ცენტრის კონკურენტებს "სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის" მიმართულებით წარმოადგენენ შემდეგი ორგანიზაციები:

- 1) შპს „სამედიცინო ცენტრი ურანტი“;
- 2) შპს „ჯ. ჭანტურიას სახელობის სამედიცინო ცენტრი“;
- 3) შპს „ნეოგენი“;
- 4) შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- 5) შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრი“;
- 6) შპს „კადუცი“;
- 7) შპს „იმერმედი-იმერეთის სამხარეო სამედიცინო ცენტრი“;
- 8) შპს „წმინდა გიორგის სახელობის ჯანმრთელობის სახლი“;
- 9) შპს „მარნეულის სამედიცინო ცენტრი ადიკ“;
- 10) შპს „წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრი“.

აღნიშნული კომპანიები ქ. თბილისში ეწევიან, როგორც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნარკომანიის პროგრამების მომსახურებას, ასევე შიდა დაფინანსების წყაროს კუთხითაც წარმოადგენენ ცენტრის აქტიურ კონკურენტებს.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამების მიმართულებით, ცენტრის კონკურენტები არიან:

- 1) შპს "ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი",
- 2) შპს "აფხაზეთის ფსიქონევროლოგიური დისპანსერი";
- 3) ააიპ „საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია“;
- 4) შპს "საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი";
- 5) შპს „№5 კლინიკური საავადმყოფო“;
- 6) სს „ევექსის ჰოსპიტლები“;
- 7) შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- 8) შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ და ა.შ.

განვითარების გეგმები

2020 წელს, აქტიურად ვიყენებთ ონლაინ კომუნიკაციის პლატფორმას www.drugprevention.ge, აღნიშნულ საიტზე, კვირაში სამი დღე, „ცენტრის“ სპეციალისტები პასუხობენ მომხმარებელთა კითხვებს. საიტის მომხმარებლებს შეუძლიათ მიიღონ, როგორც ფსიქოლოგიის დაექიმი-ნარკოლოგიის, ასევე იურისტის კონსულტაცია. აღნიშნული სერვისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ახალი კორონავირუსის პანდემიის დროს.

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო ონლაინ რეჟიმში გადავიდა პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი შეხვედრები, ტარდება ონლაინ კონფერენციები. ცენტრის წამყვანი სპეციალისტები ონლაინ კონფერენციების საშუალებით უზიარებენ კოლეგებს აქტუალურ საკითხებს, ფსიქიატრიის და ნარკოლოგიის დარგში არსებულ ახალ გამოწვევებს, დაავადებათა მიმდინარეობას, მეურნეობასა და დიაგნოსტიკაში არსებულ სიახლეებს. ცენტრის ინიციატივით ხორციელდება რეგიონებში მომუშავე სპეციალისტების პროფესიული მხარდაჭერა, მათწინაშე მდგარი საკითხების განხილვა, გამოცდილების გაზიარება და სხვა.

ცენტრი ჩართულია ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკოლოგიის კუთხით საინტერესო, მნიშვნელოვან, მათ შორის პანდემიით გამოწვეული ცვლილებებისა და სხვა საჭირობო საკითხებში შემეცნებით, საგანმანათლებლო, პრევენციულ და საკონსულტაციო პროექტების განხორციელებაში. ის მიმართავს სხვადასხვა აქტივობებს, როგორცაა სატელევიზიო გადაცემებში სპეციალისტების მონაწილეობა, სოციალურ მედიაში ონლაინ ბლოგ-რუბრიკების წარმოდგენა, ონლაინ კონსულტაციები, სოციალური კამპანიების ორგანიზება და მასში მონაწილეობა.

მიმდინარეობს მოლაპარაკება „ცენტრისა“ და დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რათა ამ უკანასკნელმა 2021 წელს, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – „ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ.თბილისსა და რეგიონებში“, მათ შორის „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა“, შეგვიძინოს მეთადონის ჩამოსხმის აპარატები და შევძლოთ ამ პროცესის ავტომატიზირებულიობა, რაც მოგვცემს მნიშვნელოვან დანაშოვს, როგორც ფინანსური კუთხით, ასევე ადამიანური რესურსების გამოყენების თვალსაზრისით.

2020 წელი პანდემიიდან გამომდინარე სავსე იყო გამოწვევებითა და სწრაფი, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების საჭიროებებით. ეფექტურად მოხდა ახალი კორონავირუსის ინფექციის მართვაროგორც სტაციონარში მოთავსებულ პაციენტებში, ისე სამედიცინო პერსონალში. მიუხედავად ქვეყანაში არსებული რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა ცენტრს არ შეუწყვეტია პაციენტების მიღება და სერვისების მიწოდება. ცენტრი პაციენტებს ყველა სერვისს აწვდიდა უწყვეტად და შეფერხების გარეშე. არსებული გაიდლაინებისა და პროტოკოლების გათვალისწინებით, დროულად, სწორი რეაგირებით განხორციელდა პაციენტების სომატური დაავადებების ეფექტური მართვისთვის საჭირო ყველა პროცესი. დასაქმებულებს COVID 19 -ის ტესტირება უტარდებათ ქვეყანაში დადგენილი წესების მიხედვით, უწყვეტად. ისინი აღჭურვილი არიან ინდივიდუალური დაცვისა და სადეზინფექციო საშუალებებით. ცენტრში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინფექციური კონტროლის სისტემის გამართულ მუშაობას და საჭიროების მიხედვით სწრაფ, ადექვატურ რეაგირებას, სადეზინფექციო საშუალების ჩატარებას, პერსონალის სწავლებას, ინსტრუქტაჟებს და სხვა.

გამოცხადებული პანდემიის პირობებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა „ცენტრის“ ხარჯები, რომელიც გავწიეთ თანამშრომლებისა და პაციენტების ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეძენით (პირბადეები, სამედიცინო ქუდები, ხალათები, ბაზილები, ხელთათმანები, სახის დამცავი ფარები, ხელის და ზედაპირების სადეზინფექციო ხსნარები, სადეზინფექციო ხსნარების დისპენსერები, თერმოსკრინინგისთვის უკონტაქტო თერმომეტრები, ღეზობარიერები და ა.შ.), რომელთა საშუალო ღირებულება 2020 წლის განმავლობაში შეადგენდა 200,200.00 ლარს.

მიუხედავად, „ცენტრში“ ზემოთ მოყვანილი ეპიდემიოლოგიური ვითარების მართვისა, 2020 წელს ძალიან შემცირდა პაციენტების მომართვიანობა, როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ სერვისებში, როგორც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ისე შიდა სტანდარტით, რამაც გამოიწვია შემოსავლების შემცირება. ასევე, რთულია იმის პროგნოზირება, თუ როგორ გაგრძელდება ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა ქვეყანაში, რაც პირდაპირ პროპორციულად აისახება „ცენტრის“ შემოსავლებზე. ხოლო, რაც შეეხება ხარჯებს, „ცენტრი“ გასწევს მხოლოდ იმ ოდენობით, რაც აუცილებელია სახელმწიფო მნიშვნელობის სამედიცინო სერვისების გამართული ფუნქციონირებისთვის.

მომავალშიც „ცენტრი“ გეგმავს მიმართოს თავის ძალისხმევა, რათა შეინარჩუნოს განვითარების დადებითი დინამიკა და ხელი შეუწყოს სახელმწიფო პროგრამების მაღალ დონეზე შესრულებას.

რისკები და გაურკვევლობები

რისკების მართვა წარმოადგენს „ცენტრის“ სტრატეგიის მნიშვნელოვან საყრდენს და განსაკუთრებულ როლს თამაშობს მოსალოდნელი რისკებისა და გაურკვევლობების აღმოჩენაში, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ კომპანიის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო პერსპექტივებზე. ამ ნაწილში გაანალიზებულია ის ძირითადი რისკები და გაურკვევლობები, რომლის წინაშეც დგას შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ „ცენტრის“ მუშაობის შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიონ ჯერ კიდევ უცნობმა რისკებმა და გაურკვევლობებმა, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი ქვემოთ.

რისკ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ „სახელმწიფო პროგრამების“ ზოგიერთ კომპონენტში, რომლის შემოსავალიც შემთხვევების რაოდენობაზეა მიბმული, არ შეცვლილა წლების მანძილზე ერთეული შემთხვევის ღირებულება, მაშინ როცა გაზრდილია ამ სერვისის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა, ბაზარზე არსებული ფასების მატების გამო.


მომწოდებლების მხრიდან, მედიკამენტების მოწოდებაში შეფერხებასთან დაკავშირებით, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, „ცენტრს“ უწევს ხოლმე მედიკამენტების შეძენა გადაუდებელი შესყიდვის გზით, რაც ზრდის მედიკამენტის ფასს, ისედაც ბაზარზე გაზრდილი ფასების პირობებში, რაც „ცენტრის“ ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება.

„ცენტრის“ სტაციონარებში, როგორც ნარკოლოგიური, ასევე ფსიქიატრიული მიმართულებით, პაციენტთა მაღალი მომართვიანობის გამო, რისი უგულებელყოფაც დაკავშირებულია სოციალურ რისკებთან, თითქმის ყოველთვის შესრულებული სამუშაოს ღირებულება, რომელსაც წარვადგენთ სსიპ ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოში, მეტია სახელმწიფო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტზე გამოყოფილი თანხის ლიმიტზე. „ნარკომანიის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში-„სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია“, ბაზარზე გამოჩნდნენ ახალი კომპანიები, კერძოდ, შპს „წმინდა გიორგის სახელობის ჯანმრთელობის სახლი“, შპს „მარნეულის სამედიცინო ცენტრი ადიკ“, შპს „წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ცენტრი“, ვინც ახორციელებს ამავე პროგრამას. გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან გაიზარდა იმ კომპანიების რაოდენობა, ვინც ამ სერვისის ახორციელებს, აღნიშნულ პროგრამაზე დაწესდა თვიური ლიმიტი, მაშინ როდესაც „ცენტრს“ უნაზღაურებოდა შემოსავალი შესრულებული სამუშაოს პროპორციულად, რაც ასევე უარყოფითად აისახა „ცენტრის“ შემოსავლებზე.

ლ. კილაძე, გენერალური დირექტორი

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (ს/კ 404945164)

27 ივლისი, 2021 წელი



About Baker Tilly

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.



Contact us

Baker Tilly Georgia LLC
BC Monteshev Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge